ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ზვიად კუპრავა სასამართლო პატიმრობაში დატოვა

გვ.7

11 ივნისიდან
ვაჟა-ფშაველა
მოთხრობები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ოთხშაბათი, 12 ივნისი, 2019 №137 (8091) ფასი: 60 თეთრი

„ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე ბიძინა ივანიშვილი იქნება“

გვ.2

ირაკლი ოქრუაშვილი: ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ ძალიან ბევრი გაბრაზებული ადამიანის დიდი მოძრაობა შევქმნათ, იმ ადამიანების, რომლებსაც უკვე გაუსაძლისად მიაჩნიათ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა

ხალხის პროტესტმა ქუჩაში უნდა გადაინაცვლოს

გვ.3

კახა კუკავა: „არჩევნები სამართლიან გარემოში რომ ჩატარდეს, „ოცნება“ ხმების 10-დან 20%-მდე აიღებს“

სოსო ცინცაძე: „ოპოზიცია გამარჯვებისთვის დაბადებული არ არის. ის უძლურია 5 კილო კარტოფილთან“

გვ.4

თამარ ჩხეიძე: „რუსეთიდან დაახლოებით იმავე პრობლემებს ვაწყდებით, რომლებიც საბჭოთა დროს გვჭონდა“

გვ.5

გვ.5

ბიძინა გუჯაბიძე: „სააკაშვილის ექსტრადიცია რეალურია“

თამარ ლალიაშვილი: „იუსტიციის საბჭოს ევროსასამართლოს გადაწყვეტილება არ აინტერესებს“

გვ.3

სამართალი გვ.7

ალექსი სიხუაშვილს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

სასამართლო საავადმყოფოში ჩატარდა

16 წლის გოგონას გაუპატიურებაში ბრალდებულ 40 წლის მამაკაცს პატიმრობა შეეფარდა

ველისციხის ინციდენტისთვის დაკავებული 3 პირი გირაოთი გამოუშვეს

ეკონომიკა გვ.4

კახა კალაძე: „ვაშენებ, სადაც მინდა, როგორც მინდა და რამდენსაც მინდა, კატეგორიულად მიუღებელია“

გვ.6

დავით მესხიშვილი: „ჰაერის დაბინძურების პრობლემები ძირითადად ტექნიკურად გაუმართავ ავტომობილებზე მოდის“

ISSN 1987-9385

2 ნიკა მელია: „ივანიშვილი აუცილებლად გამოიმუშავებს რევოლუციას“

7 ხაშურში ვეტექიმი დაჭრეს

6 გიორგი ჟორჟოლიანი: „მთავრობამ ეკონომიკური პოლიტიკა რადიკალურად უნდა შეცვალოს“

7 გორში 10 წლის ბავშვი ადუღებულ წყალში ჩავარდა და გარდაიცვალა

„ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე ბიძინა ივანიშვილი იქნება“

ნათია ხურცილავა

გუშინ, 11 ივნისს, ირაკლი ოქრუაშვილმა პოლიტიკური მოძრაობა „გამარჯვებული საქართველო“ დააფუძნა. მოძრაობის ყრილობა ოქტომბერში გაიმართება. როგორც პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი, პოლიტიკურ მოძრაობას თავმჯდომარე არ ეყოლება. პოლიტიკური საბჭოს მოძრაობაში არიან როგორც ახალი, ისე ძველი, პოლიტიკური გამოცდილებისა და წარსულის მქონე წევრები.

გუბაზ სანიკიძე, კოტე კემულარია, ვალერი გელბახიანი, გოჩა მამაცაშვილი, ლერი ლაფაჩი, გურამ ჩალაგაშვილი, ნიკა რამიშვილი – სწორედ ამ ადამიანებთან ერთად ირაკლი ოქრუაშვილი უკვე მესამედ ბრუნდება პოლიტიკაში.

მოძრაობის, მისი ლიდერების მიზანი, როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, არსებული ხელისუფლების გასტუმრებაა.

იქნება თუ არა ე.წ. მესამე ძალა აღნიშნული პოლიტიკური მოძრაობა, როგორც გუბაზ სანიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ასეთი პრეტენზია არ აქვთ, თუმცა, ყველა ლეგიტიმურ გზას გამოიყენებენ ხელისუფლებაში მოსასვლელად. აქვე სანიკიძემ მოლდოვური ვარიანტიც არ გამორიცხა.

ახალი პოლიტიკური მოძრაობა ვისთან ითანამშრომლებს? – გაირკვა, რომ ისინი მზად არიან, უკლებლივ ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალასთან ითანამშრომლონ. მეტიც, ირაკლი ოქრუაშვილი მზად არის, „ქართული ოცნების“ ნებისმიერ წევრთანაც ითანამშრომლოს, თუ ისინი ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდებიან.

კოტე კემულარია:

– ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე იქნება ბიძინა ივანიშვილი. ოლიგარქების დრო წავიდა. უკრაინაში ოლიგარქი ხალხმა დაამარცხა და მშვიდად გაუშვა. ბიძინა ივანიშვილი 7 წელია გვინიშნავს პრემიერ-მინისტრებს, სუსს, მთავარ პროკურორებს, სასამართლოს, მაგრამ თვითონ არაფერზე არ არის პასუხისმგებელი. ქართველი ხალხი ამისთვის მას აუცილებლად მოსთხოვს პასუხს. ძალიან ცუდ დღეში ვართ. უნდა გამოვფიზიზლდეთ. საქართველოში, რეგიონში როგორც ლიდერის ფუნქცია უნდა აღვადგინოთ და სასწრაფო წესით რეფორმები უნდა დავიწყოთ.

– ბატონო კოტე, რა მოლოდინი გაქვთ, გადალახავთ 3%-იან ბარიერს, პარლამენტში მოხვდებით?

– პარლამენტში მე დიდხანს ვიყავი. პარლამენტის წევრობა არ არის თვითმიზანი არც ჩემთვის და არც ამ ახალი მოძრაობისთვის. ჩვენს საზოგადოებას პოლიტიკური სპექტრის გაძლიერება სჭირდება. ჩვენი მოქალაქეების უფლებები დასაცავია, რომელთა 60% საერთოდ ნიჰილისტურად არის განწყობილი და არჩევნებზე არ მიდის. ვერ ხედავს ძალას, რომელთანაც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს, რომელსაც დაელაპარაკება. ჩვენ ვიქნებით ღია ასპარეზი ამ ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქისთვის. ღია ასპარეზი ვიქნებით ასევე ნებისმიერი პარტიისთვის. თუნდაც „ოცნების“ ნებისმიერი წევრისთვის, რომელსაც უნდა თავისი პოზიციის ღიად დაფიქსირება. ვინც თავისუფალია და ვისაც არ ეშინია საკუთარი პოზიციების დაფიქსირების, ყველასთვის ღია ვიქნებით.

გუბაზ სანიკიძე: ჩვენ არ გვაქვს არც პირველობის, არც მეორეობის პრეტენზია. ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული პრეტენზია: ჩვენი ამოცანაა ქვეყანაში არსებული რეალობის შეცვლა.

გუბაზ სანიკიძე:

– ისევ გზაგასაყარზე ვდგავართ: ორი გზა არსებობს: ერთი, რომელიც საკუჭნაოსკენ მიდის, სადაც უიმედობა და უმეცრობა ბატონობს და მეორე, სადაც ჩვენს სამშობლოს ექნება განვითარების პერსპექტივა, სადაც სამართალი იზეიმებს, სადაც აზდაკი დაამარცხებს მურუსიძეს. ჩვენ არ გვაქვს არც პირველობის, არც მეორეობის პრეტენზია. ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული პრეტენზია: ჩვენი ამოცანაა ქვეყანაში არსებული რეალობის შეცვლა. 60 პროცენტი, რომელიც არჩევნებში არ ერთვება, არა იმიტომ, რომ არ უნდა, არამედ იმიტომ, რომ ვერ ხედავს თავისიანს, იმ ხალხს, რომ დავეულაპარაკოთ. ჩვენ ასევე ვაპირებთ სრულიად ქართულ ოპოზიციასთან თანამშრომლობას ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე, ოღონდ გარკვეული პირობით: პირობა გულისხმობს არჩევნების ჩატარებას, მაგრამ, თუ არჩევნები გაყალბდება, მაშინ – ამ არჩევნების არაღიარებას! ჩვენი მოძრაობა აპირებს თანამშრომლობას იმ ოპოზიციურ ძალებთან, რომლებიც გაყალბებულ არჩევნებს არ აღიარებენ. ეს ძალიან პრინციპული საკითხია ჩვენთვის. 2020 წელი სანიშანსვეტო უღელტეხილი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისთვის.

– „ქართული ოცნება“ სერიოზულ ძალად არ განიხილავს ახალ მოძრაობას. რას უპასუხებთ?

– იმას, თუ რას იტყვიან „ქართული ოცნების“ მესვეურები, მაინცდამაინც დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ნახეთ, გუშინ როგორ უთხრეს უარი ძველ თანაგუნდელებს. ბიძინა ივანიშვილს აკვიატება აქვს, პოლიტიკოსების ინკუბატორი უნდა გააკეთოს. ვნახოთ, ვის გამოჩეკავს. „ქართული ოცნება“ არ არსებობს. პრობლემა ერთ კაცშია.

ირაკლი ოქრუაშვილი:

– ეს არ არის ერთი ან რამდენიმე ადამიანის ვერტიკალზე აგებული პოლიტიკური სტრუქტურა. ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ ძალიან ბევრი გაბრაზებული ადამიანის დიდი მოძრაობა შევქმნათ, იმ ადამიანების, რომლებსაც უკვე გაუსაძლისად მიაჩნიათ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.

ჩვენ საკმაოდ რთული გეგმა გვაქვს. უახლოეს მომავალში ვაპირებთ რეგიონებში გასვლას, ვაპირებთ, ქუჩა-ქუჩა, კარდაკარ ვიაროთ და ადამიანებს გავაგებინოთ, რა გვინდა. თანამშრომლობისთვის ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა. ღიაა „ქართული ოცნების“ წევრებისთვისაც, თუ ისინი ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდებიან.

ოქტომბრის ბოლოს, როდესაც წიწილების დათვლის სეზონი დადგება, ფართომასშტაბიან ყრილობას გავმართავთ და იქ გვექნება საუბარი ზუსტად იმ პასუხებზე, რომლებიც ადეკვატური იქნება ბიძინა ივანიშვილის ქცევაზე.

ირაკლი ოქრუაშვილი: ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ ძალიან ბევრი გაბრაზებული ადამიანის დიდი მოძრაობა შევქმნათ, იმ ადამიანების, რომლებსაც უკვე გაუსაძლისად მიაჩნიათ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა

ვალერი გელბახიანი:

– თანასწორობის პრინციპზე აგებული პარტია იქნება. ერთი ლიდერი არ ეყოლება პარტიას. ამ წუთში პროექტებზე ვმუშაობ, იმ რეფორმებზე, რომლებიც უნდა გატარდეს ქვეყანაში. პირველ რიგში ორიენტაცია აგრომიმართულებით გვექნება. თქვენ ძალიან მალე ნოვაციური პროექტების შესახებ მოისმენთ. ვაპირებთ რეგიონებში ჩასვლასა და სოფელ-სოფელ სიარულს, რათა ეს იდეები ხალხს გავუზიაროთ და გავაცნოთ.

სასტუმრო „შერატონში“ სანამ ირაკლი ოქრუაშვილი თავისი ახალი პოლიტიკური მოძრაობის პრეზენტაციას გამართავდა, მანამდე ბუტა რობაქიძის მამა სოსო რობაქიძე მივიდა და ხმამაღლა გააპროტესტა თავდაცვის ყოფილი მინისტრის დიდ პოლიტიკაში დაბრუნება.

– გუბაზ, დიდ პატივს გცემდი, სირცხვილი იქნება, თუ თავს „ნაცების“ ოჯახში ამოყოფ, ისე, როგორც შალვა შავგულიძე, რომელიც დღეს აღარც ადვოკატია, აღარც კაცი და აღარც პოლიტიკოსი, – ასე მიმართა გუბაზ სანიკიძეს სოსო რობაქიძემ.

ვალერი გელბახიანი: თანასწორობის პრინციპზე აგებული პარტია იქნება. ერთი ლიდერი არ ეყოლება პარტიას. ამ წუთში პროექტებზე ვმუშაობ, იმ რეფორმებზე, რომლებიც უნდა გატარდეს ქვეყანაში. პირველ რიგში, ორიენტაცია აგრომიმართულებით გვექნება.

სოსო რობაქიძეს გუბაზ სანიკიძეც და ირაკლი ოქრუაშვილიც გამოეხმაურნენ.

ირაკლი ოქრუაშვილი:

– თუ მას რამე პრეტენზია გააჩნია, მისი სამეგობროა დღეს სასამართლო, პროკურატურა, მისი სამეგობროა დღეს აღმასრულებელი ხელისუფლება. თავისი პრეტენზიები შეუძლია, იქ დააფიქსიროს. თუ ჩემთან უშუალო საუბარი უნდა, იცის, სად და როგორ უნდა მომძებნოს. ტრაგიზმით მოცული ისტორიაა, შესაბამისად, ოჯახიც ძალიან დაზარალებულია. სიტყვებს ვარჩევ, რომ გარკვეულ ზღვარს არ გადავიდე, მაგრამ რაღაცებს საზღვარი აქვს.

ნიკა მელია: „ივანიშვილი აუცილებლად გამოიმუშავებს რევოლუციას“

ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად გამოიმუშავებს რევოლუციას. ეს ზამბარა, რომელსაც ივანიშვილის ხელისუფლება ჭიმავს, ძალიან მტკივნეულად მოხვდება მას ცხვირ-პირში!

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა მელიამ ჟურნალისტებს თბილისის საქალაქო სასამართლოში განუცხადა, რითაც გამოეხმაურა სასამართლოს გადაწყვეტილებას ზვიად კუპრავას პატიმრობაში დატოვების თაობაზე.

ნიკა მელიას განცხადებით, ხელისუფლება, სადაც სასამართლოს მართავს მურუსიძე – ჩინჩალაძე, პარლამენტს მართავს კობახიძე და შს სამინისტროს მართავს გიორგი გახარია, აუცილებლად ასრულებს რევოლუციით.

– ზვიად კუპრავას თავდებში ვუდგებოდით ჩვენ, დეპუტატები, ასევე, სხვა ადამიანებიც და მივმართეთ შუამდგომლობით, რომ აღკვეთის ღონისძიება შეცვლილიყო, თუმცა დატოვეს პატიმრობაში. გავიხსენოთ, რისთვის ჰყავს ბიძინა ივანიშვილს ეს ადამიანი პატიმრობაში. სასამართლოში მან მოსამართლეს შეაგინაო და ამავე შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე პანჩური ამოარტყა ადამიანსო, რომლის მტკიცებულება არც არსებობს. პატიმრობაში გაამწესეს ამის გამო უკვე მეოთხე თვეა, მაშინ, როდესაც ქვეყანაში უამრავი მაგალითი გვაქვს, როდესაც სცემენ, ჯაჭვით მისდევენ და ა.შ. თუმცა დამნაშავეები გარეთ არიან. კორცხელის მოძალადეებიდან არც ერთი მათგანი პატიმრობაში არ არის და კიდევ ბევრი სხვა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად გამოიმუშავებს რევოლუციას. ამ სიტყვას ჩვენ აღარ უნდა მოვერიდოთ. ხელისუფლება, სადაც სასამართლოს მართავს მურუსიძე-ჩინჩალაძე, პარლამენტს მართავს კობახიძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს – გახარია, ასეთი ხელისუფლება მოღვაწეობას ამთავრებს რევოლუციით. დიახაც, რევოლუცია მოხდება ან საარჩევნო უბნებთან, ან მათ მიღმა. ივანიშვილი საზოგადოების მოთმინებას სცდის და რას მიიღებს ამაზე, ძალიან მალე ვნახავთ. ეს ზამბარა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება ჭიმავს, ძალიან მტკივნეულად მოხვდება მას ცხვირ-პირში, – განაცხადა ნიკა მელიამ.

ipn

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ხალხის პროტესტმა ქუჩაში უნდა გადაინაცვლოს

კახა კუკავა: „არჩევნები სამართლიან გარემოში რომ ჩატარდეს, „ოცნება“ ხმების 10-დან 20%-მდე აიღებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია თავისუფალი საქართველოს ლიდერი **კახა კუკავა** პასუხობს.

– ბატონო კახა, ხელისუფლება სთავაზობს ოპოზიციას, რომ მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ და ერთად შეცვალონ საარჩევნო კანონში არსებული ხარვეზები. რა მოლოდინი გაქვთ თქვენ?

– მოცემულობა ისეთია, როგორიც იყო მთელი ამ დამოუკიდებლობის წლების განმავლობაში, რომ ოპოზიცია მოითხოვს მეტს და ხელისუფლება შეეცდება, კოსმეტიკური ცვლილებები განახორციელოს, თუმცა, ამავე ჟანრის კანონიდან არის და ხელისუფლებას ესეც კარგად უნდა ახსოვდეს, რომ კოსმეტიკური ცვლილებების პირობებში ხელისუფლება აგებს ხოლმე გადამწყვეტ არჩევნებს, გენერალურ არჩევნებს და მერე თვითონ ხელისუფლებას უხდება სახვეწარი ის ცვლილებები, რომლებსაც თვითონ ეწინააღმდეგებოდა.

– ნაციონალებსაც იგივე სჭირთ?

– დიახ. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ დღეს ნაციონალური მოძრაობა „ქართული ოცნებისაგან“ ითხოვს იმ ცვლილებებს კანონმდებლობაში, რომელსაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, როცა თავად ხელისუფლებაში იყვნენ. ჩვენ ვნახეთ, რომ იმ არასამართლიანმა კანონმდებლობამ ვერ გადაარჩინა სააკაშვილის რეჟიმი და ეს ვერც ივანიშვილის რეჟიმს გადაარჩენს. ეს არის, ჩემი აზრით, უბრალოდ, არასწორი თვალსაწიერი, ძალიან მოკლე. მე, პირადად, მიმაჩნია, რომ დღეს ყველაზე მეტად საარჩევნო რეფორმა სჭირდება ივანიშვილსა და მის გარემოცვას.

– რატომ ივანიშვილს?

– იმიტომ, რომ დღეს საარჩევნო რეფორმა უზრუნველყოფს იმას, რომ საქართველოში მოხდება ხელისუფლების დანაწილება, მოხდება პოლიტიკური სპექტრის დანაწილება, რაც უზრუნველყოფს თითოეული მისი მონაწილის უსაფრთხოებას. წარმოიდგინეთ, როგორია ვითარება – დღეს არის 60/40-ზე განაწილებული პოლიტიკური სპექტრი. 60% ეკუთვნის „ოცნებას“, 40% – ნაციონალებს. როგორც კი ეს პირიქით გახდება, ზუსტად იმავეს გაუკეთებენ ნაცები ქოცებს, რასაც თვითონ უკეთებენ, დაპატიმრებები, ქონების ჩამორთმევა და ასე შემდეგ. მაგრამ, თუ გადანაწილდება პროცენტები ისე, როგორც დღეს არის ევროპულ ქვეყნებში, დავუშვათ, 30-30 20-20, როდესაც შევა რამდენიმე სუბიექტი და არც ერთ მათგანს არ ექნება საკონტროლო პაკეტი, ეს უზრუნველყოფს თითოეული მათგანის უსაფრთხოებას. სწორედ ამიტომაც არის, რომ თითქმის არც ერთ ევროპის ქვეყანაში, 51% არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არა აქვს. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ დამარცხებული პარტიის არც პირად ქონებაზე და არც უსაფრთხოებაზე ეს არანაირად არ აისახება.

– ამ ფონზე ჩვენ ვხედავთ, რომ „ოცნება“ სერიოზულად ემზადება ხელისუფლებაში დასარჩენად. გვესმის განცხადებები, რომ განახლებული გუნდით მოვლენ, მონოლითურად შეიკრიბება პარტია, ახალი სახეები ეყოლებათ და ასე შემდეგ.

– საქმე ისაა, რომ ოცნება დარჩება თუ არ დარჩება, ეს „ოცნებაზე“ არ არის დამოკიდებული, ეს დამოკიდებულია ოპოზიციაზე. ჩვენ ვნახეთ, „ოცნებას“ რაც შეუძლია, პრინციპში, 2016 წლიდან მოყოლებული, მას ძალიან უჭირს არჩევნების მოგება. 2012-დან 2016 წლამდე ის ამ ბრძოლაში პატიოსნად იგებდა არჩევნებს, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ბევრ ფულს დახარჯავდა თუ ცოტას. 2016 წლის შემდგომ ვითარება შეიცვალა და არჩევნების გაყალბება 20-30%-ით – ეს არის გადამწყვეტი მისი გამარჯვებისათვის, იმიტომ, რომ „ოცნების“ ელექტორატმა ძალიან დაიკლო. ის არის დაახლოებით 10%-მდე. დღეს ოპოზიციის ჯამური ელექტორატი გაცილებით მეტია. ამიტომ „ოცნებას“ სჭირდება ხმების იმ რაოდენობის გაყალბება, რაც ახლა გითხარით, იმისთვის, რომ მიიღოს პირველი ადგილი. დღეს რომ არჩევნები ჩატარდეს სამართლიან გარემოში, „ოცნება“ აიღებს ხმების 10-დან 20%-მდე. აი, ეს არის მისი რესურსი.

– ამოიწურა „ოცნების“ რესურსი?

– როდესაც არჩევნებს მუდმივად ძალადობითა და გაყალბებით ატარებ, ამასაც აქვს თავისი რესურსი და ჩვენ ეს გვახსოვს შევარდნაძისა და სააკაშვილის მთავრობების პირობებში. ეს არის რაღაც ორგანული ნივთიერების მსგავსი, რომელსაც ერთხელ გაწელავ, ორჯერ გაწელავ და მესამედ გაწყდება. ყველაფერს აქვს თავისი რესურსი. ჩვენ გვახსოვს, სააკაშვილმა რომ დაიწყო გაყალბება 2008-დან, 2012-მდე მიატანა. სხვათა შორის, 4 წელი აყალბებდა ისიც არჩევნებს. სავარაუდოდ, 2016-2020 წელი იქნება ის ციკლი, რომელიც ივანიშვილის რესურსსაც ამოწურავს. აქ ნიშანდობლივია, შევარდნაძეს სააკაშვილმა და სააკაშვილს ივანიშვილმა როგორ მოუგო!

– როგორ?

– არჩევნებით კი არ მოუგო, არჩევნები – ეს იყო გაფორმება უბრალოდ, თორემ, რეალურად მოუგო ქუჩაში, იმიტომ, რომ შეუძლებელია, დღეს ივანიშვილს მოუგო არჩევნებით, მაშინ როცა ის ერთ უბანზე ხარჯავს 50 ათას ლარს და ოპოზიციას შეუძლია, დახარჯოს 200 ლარი. ამ სიტუაციაში ოპოზიცია ვერაფერს შეძლებს. რომ გამოდიან და გაკვირვებული სახეებით იძახიან, რომ აი, ხალხს შეურაცხყოფას აყენებენ, როცა ამბობენ, რომ ხალხი იყიდება. რა თქმა უნდა, ხალხი იყიდება. ჩვენი მოსახლეობის დაახლოებით 30% ჩვეულებრივი მონაა. მონათა ბაზარზე რომ ზანგები იყიდებოდნენ, ზუსტად ისეთი მონაა, რომელსაც, რომ მისცე ფული, ნებისმიერს, ივანიშვილსა და სააკაშვილს კი არა, პუტინსაც მისცემენ ხმას. ოპოზიციას არჩევნების მოგება ამ ვითარებაში ყოველთვის გაუჭირდება. ამიტომ საჭიროა, პროტესტმა გადაინაცვლოს ქუჩაში.

– ფიქრობთ, რომ გამოვა ხალხი ქუჩაში?

– ეს ხალხი აუცილებლად გამოვა, ორი აზრი არ არსებობს, უბრალოდ, საკითხავია, როდის?! ეს როდის კი დამოკიდებულია შემდეგზე: დღეს ვითარება კი მომწიფდა საიმისოდ, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხი გამოვიდეს, მაგრამ არის ის ვითარება, რომელიც ყველა ხელისუფლების ბოლო პერიოდში იქმნება ხოლმე?

– რომელ ვითარებას გულისხმობთ?

– რომ არ ჩანს სათანადო, ნდობით აღჭურვილი ალტერნატივა. ხალხს შევარდნაძე თავიდანვე სძულდა, მაგრამ, სანამ ასლან აბაშიძე ითვლებოდა მის ოპოზიციად, ხალხი ქუჩაში არ გამოდიოდა. ხალხი გამოვიდა მაშინ, როცა სააკაშვილი გამოჩნდა. ზუსტად იგივე ხდებოდა სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში, როდესაც ხალხი იყო გარკვეულ ეჭვებში, რომ ოპოზიცია ხომ არ იყო ხელისუფლებასთან შეკრული, მათ გვარებს აღარ დავასახელებ ახლა... იყო პერიოდი, როდესაც მიტინგების რაოდენობა სამიდან 5 ათას კაცს აღარ აჭარბებდა, ხოლო როცა მოვიდა ივანიშვილი, 100 ათას კაციანი მიტინგი ერთი წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ გაიმართა. დღესაც იგივე ვითარებაა. ივანიშვილის რესურსი მთლიანად ამოწურულია, თუმცა ნაციონალურ მოძრაობას ხალხი არ ენდობა. როგორც კი გამოჩნდება ისეთი კონფიგურაცია, რომელსაც ხალხი დაუჯერებს, ივანიშვილის რეჟიმის დასრულება თვეების ამბავი იქნება.

თამარ ლალიაშვილი: „იუსტიციის საბჭოს ევროსასამართლოს გადაწყვეტილება არ აინტერესებს“

გულიკო ბალაძე

რატომ ითხოვს იუსტიციის საბჭო ხორავას ქუჩაზე მოკლული დათუნა სარალიძის საქმის მოსამართლე (სააპელაციო ინსტანციაში) მურმან ისაევის გათავისუფლებას? რატომ არ თანხმდება იუსტიციის საბჭო ე.წ. მეამბოხე მოსამართლეების თამარ ლალიაშვილის, მურმან ისაევის, მერაბ ტურავასა და ნინო გვენეტაძის გამართლებას მაშინ, როდესაც სტრასბურის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ისინი გაამართლა? რა პროცესი ახლავს თან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევას? – ამ საკითხზე „ახალ თაობას“ უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე **თამარ ლალიაშვილი** ესაუბრა.

– ქალბატონო თამარ, თქვენ განაცხადი შეიტანეთ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად?

– იუსტიციის საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შესარჩევ კონკურსში ვმონაწილეობ.

– ანუ გადაწყვიტეთ, კიდევ ერთხელ ცადოთ ბედი მას შემდეგ, რაც სააკაშვილის დროს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობიდან გაგათავისუფლეს. შემდეგ მარგველაშვილმა წარგადგინათ ასევე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ადგილის დასაკავებლად. თუმცა, დღემდე ეს საკითხი მაშინ არ გადაწყდა. ახლა რა შანსი გაქვთ?

– ეს საკითხი და ის, რაც 10 ივნისს მოხდა, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

– 10 ივნისს რა მოხდა?

– მინდა, მხოლოდ ფაქტებით ვისაუბრო, თუ რა შედეგი ექნება ამ კონკურსში ჩემს მონაწილეობას. ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ჩაწერა, რომ მათ არ იმსჯელეს ჩემს თანამდებობაზე დაბრუნებასთან დაკავშირებით, ვინაიდან მე არ მჭირდება და შემიძლია კონკურსში მონაწილეობა. ცხადია, ეს უფლება გამოვიყენე.

კანონიდან გამომდინარე, მე და ჩემმა კოლეგამ მურმან ისაევმა (რომელიც გახლავთ ხორავას ქუჩაზე მომხდარი ქმედების განმხილველი მოსამართლე) შევიტანეთ საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, გაეუქმებინათ ადრინდელი ჩვენი გათავისუფლების გადაწყვეტილება და გამამართლებელი გადაწყვეტილება გამოეტანათ.

10 ივნისს სადისციპლინო კოლეგიამ სასამართლო სხდომაზე სამი მოსამართლის შემადგენლობით (რომლებიც არიან საერთო სასამართლოების მოსამართლეები) განიხილა საჩივარი, რომელსაც იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებიც მოქმედებენ იუსტიციის საბჭოს სახელით, ანუ ისინი ახმოვანებენ იუსტიციის საბჭოს პოზიციას.

– იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლები სასამართლოს რატომ ესწრებოდნენ? თქვენ იუსტიციის საბჭოს უჩიოდით?

– თავის დროზე ჩვენი ბრალმდებელი იუსტიციის საბჭო იყო. დღესაც იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლები იყვნენ წარმოდგენილი.

– ანუ იუსტიციის საბჭო კოლეგიის სხდომაზე მხარეს წარმოადგენდა?

– დიახ, პროცესზე იუსტიციის საბჭო მხარეს წარმოადგენდა. მათმა წარმომადგენლებმა იუსტიციის საბჭოს პოზიცია გაახმოვანეს – ჩვენ ეს პოზიცია იუსტიციის საბჭოსთან გვაქვს შეთანხმებული. საინტერესოა, ვისთან შეათანხმეს, მხოლოდ 14 თუ 15 მოსამართლეს, რომელიც იუსტიციის საბჭოს ქმნის თუ რამდენიმე მოსამართლეს, რომლებსაც ჩვენ კლანს ვუწოდებთ? ეჭვი არ მეპარება, რომ ეს იყო მურუსიძე-ჩინჩალაძის გადაწყვეტილება და პროცესზე მათი დავალება შესრულდა.

– კონკრეტულად, რა განაცხადეს იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლებმა, რა პოზიცია იყო შეთანხმებული იუსტიციის საბჭოსთან?

– პროცესზე განიხილებოდა ჩვენი საჩივარი, კოლეგიას უნდა მიეღო გადაწყვეტილება ჩვენ შესახებ. ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თქვა, რომ უკანონოდ ვიყავით გათავისუფლებული, კოლეგიას ჩვენი გათავისუფლების გადაწყვეტილებაზე ახალი გადაწყვეტილება უნდა მიეღო.

სადისციპლინო კოლეგიამ პროცესი ჩაატარა, სადაც ორივე მხარე მიგვიწვია. პროცესზე ვიყავით მე და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, ბატონი მურმან ისაევი. პროცესზე იუსტიციის საბჭომ თავისი პოზიცია დააფიქსირა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და პირდაპირ განაცხადა, რომ მათ ეს გადაწყვეტილება საერთოდ არ აინტერესებს. არანაირი გავლენა მათთვის ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას არ აქვს.

იუსტიციის საბჭოსთვის არც იმას აქვს მნიშვნელობა, მას შემდეგ, რაც ჩვენ გაგვათავისუფლეს, კანონი შეიცვალა და საერთოდ ამოღებულია მუხლი კანონის უხეშ დარღვევაზე მოსამართლის გათავისუფლების შესახებ, ანუ არ არსებობს კანონი, რომლითაც მოსამართლეს გაათავისუფლებენ კანონდარღვევისთვის.

– ე.ი. კანონი, რის საფუძველზეც გაგათავისუფლეს, გაუქმებულია? მაშინ პრობლემა რა იყო?

– კანონი გაუქმებულია, მაგრამ იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ არ აინტერესებთ, კანონი გაუქმებულია თუ არა, მიაჩნიათ, რომ მაშინდელი გათავისუფლება დღესაც ძალაშია, არ ვიმსახურებ მოსამართლეობას და მოითხოვეს, კოლეგიამ ხელახლა მიიღოს გადაწყვეტილება ჩემი და მურმან ისაევის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, მაშინ სწორად იყავით გათავისუფლებულიო.

– მურმან ისაევი დღეს მოქმედი მოსამართლეა. მისი გათავისუფლებაც მოითხოვეს?

– დიახ. მიაჩნიათ, რომ არა მარტო ჩვენ, არამედ, ფაქტობრივად, მერაბ ტურავაც, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეა, ისიც გათავისუფლებულიაო.

– ამდენად, მიაჩნდათ, რომ ნინო გვენეტაძეც არ შეესაბამებოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობას?

– დიახ, ასეა.

– მე მგონი, ნინო გვენეტაძე აიძულეს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი დაეტოვებინა.

– ეს აშკარაა. მათ არც კანონი აინტერესებთ და არც ევროსასამართლოს გადაწყვეტილება. ეს 10 ივნისს პირდაპირ თქვეს.

– ე.ი. არავითარ შემთხვევაში არ უნდათ, რომ თქვენ სასამართლო სისტემაში არსებობდეთ?

– არა. წარმოიდგინეთ, იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლებმა ეს განცხადება რომ გააკეთეს, განმხილველი მოსამართლე შეწუხდა – უთხრა, პოზიცია შეცვალეთო. სასამართლო სისტემაში თვითნებობას აქვს ადგილი. ზღვარი არ აქვთ, რაც უნდათ, იმას აკეთებენ.

როდესაც იუსტიციის საბჭო აცხადებს, რომ არ აინტერესებს, კანონი არსებობს თუ არა, არ აინტერესებს, რა გადაწყვეტილება მიიღო ევროსასამართლომ და არც ის აინტერესებს, ქვეყანას ევროკავშირი და ევროპული ღირებულებები უნდა თუ არა.

მათ ვუთხარი, რომ ყველაფერს გავასაჯაროებდი, მაგრამ არც მაგაზე ღელავენ. ეს ზუსტად ის კლანი და ის კლანური პრინციპებია, რითაც ისინი მოქმედებენ.

– ანუ იუსტიციის საბჭოს პოზიციამ საქმის განმხილველი მოსამართლე შეაწუხა.

– დიახ, მით უმეტეს, რომ მურმან ისაევი და მერაბ ტურავა მოქმედი მოსამართლეები არიან. ერთი საკონსტიტუციო სასამართლოშია, მეორე კი – სააპელაციოში. ამ დროს იუსტიციის საბჭო ამბობს, ჩვენ ვეთანხმებით იმ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც 2005 წელს ეს პირები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობიდან გათავისუფლდნენ და დღესაც იგივე გადაწყვეტილება მიიღეთო.

მოქმედები გაათავისუფლეთ, ლალიაშვილსა და გვენეტაძეს ორჯერ მოჰკვეთეთ თავიო, ასე გამოვიდა. მათ კანონი ძალიან კარგად იციან. კანონს ხომ არ არღვევენ, არც იმ ევროპულ ღირებულებებს სცემენ პატივს, ქვეყანას უამრავ კონვენციაზე აქვს ხელი მოწერილი, მაგრამ მათ არც ეს აინტერესებთ.

– ე.ი. მურმან ისაევი, რომელმაც ხორავას ქუჩაზე მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილება მიიღო (რის შემდეგაც დაზარალებულმა თქვა, სამართლიანობის აღდგენა დაიწყოო. „ოცნებაც“ ამის გამო წელში გაიმართა), სასამართლოში არსებული კლანისთვის მიუღებელია?

– დიახ, კლანისთვის ისაევი მიუღებელია, რადგან მათ მოითხოვეს, სულ მცირე, იმსჯელეთ და ეს მოსამართლე თანამდე-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

სოსო ცინცაძე: „ოპოზიცია გამარჯვებისთვის დაბადებული არ არის. ის უძლურია 5 კილო კარტოფილთან“

„ქობულიას განცხადება სახელისუფლებო გარიგებების აღიარებაა. თუ პოლიტიკაში მოსვლა უნდა, გვარების დასახელება მოუწევს“

იაგო ნაცვლიშვილი

ეკონომიკის ყოფილი მინისტრი გიორგი ქობულია დუმილს კიდევ ერთხელ არღვევს. „პალიტრანიუსის“ ეთერში სტუმრობისას მან თქვა, რომ მინისტრობისას ჰქონდა განცდა, რომ არაფორმალური ვითარება იყო. თუმცა, კონკრეტულ დეტალებზე ექსმინისტრს არც ამჯერად უსაუბრია.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ხელისუფლებაში რაღაც გარიგებები ხდებოდა და ხდება, ემზადება თუ არა აქტიურ პოლიტიკაში დასაბრუნებლად და რა მთავარი პრობლემებია პოლიტიკაში? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** საუბრობს:

– ეკონომიკის ექსმინისტრმა გიორგი ქობულიამ თქვა, რომ ჰქონდა განცდა, რომ რაღაც არაფორმალური ვითარება იყო და გარიგებები ხდებოდა. ეს არის თუ არა აღიარება იმის, რაღაც გარიგებები ხდებოდა და ხდება ხელისუფლებაში?

– რასაკვირველია. თუ რამე შეიძლება იყოს კარგი ამ სიტუაციაში, ის არის, რომ უკვე ყოფილ მინისტრს არ ეშინია იმის, რომ გამოდის და ღიად ლაპარაკობს ამას. ცუდია ის, რომ მაშინ არ ლაპარაკობდა, როცა ის ცუდი იყო. ის, რომ ხდებოდა გარიგებები, იყო ინტერესთა კონფლიქტი, საბოლოო ჯამში კი, სახელმწიფო ინტერესები საერთოდ არ ფუნქციონირებდა, ეს ჩვენთვის ახალი არ არის. ექსმინისტრი ამბობს ამას და ეს უკვე სენსაცია არ არის.

– თუმცა, ყველა დეტალზე ჯერ კიდევ არ საუბრობს და მხოლოდ ნაწილზე საუბრობს?

– დეტალებში არ ჩადის. მაშინ უნდა გამოვიდეს და გვარებზე ილაპარაკოს. მაგრამ ამას აბსოლუტურად არანაირი შედეგი არ მოყვება. ჩემთვის პრობლემა ეგ არ არის, ჩემთვის პრობლემაა ის, რომ ჩვენთან სულ უფრო და უფრო მყარდება საპარლამენტო რესპუბლიკა კონსტიტუციის დონეზე, მისი თეორიული ფუნქცია იზრდება, მაგრამ ხარისხი მცირდება. უკვე აღარ არის არჩევნები, თუნდაც ის, რაც რამდენიმე დღის წინ მოხდა. კახაძე რომელი კანონმდებელი იქნება?! იგივე თუნდაც რაც მოხდა საპრეზიდენტო არჩევნების დროს. როდესაც ჩვენ მთლიანად ვიქნებით საპარლამენტო რესპუბლიკა, ჩვენ გვექნება აბსოლუტურად მინუს მარგი ქმედების კოეფიციენტიანი, უფუნქციო პარლამენტი გვექნება რეალურად. მთავარი მაკონტროლებელი ფუნქცია პარლამენტს აქვს და მან უნდა აკონტროლოს მთავრობა.

– ხდება მინისტრების დაბარება პარლამენტში და უწევთ მათ კითხვებზე პასუხები. ეს არ არის პატარა წინგადადგმული ნაბიჯი?

– არა. ვერ ვხედავ იმას, რომ პარლამენტი აკონტროლებდეს აღმასრულებელ ხელისუფლებას, მე ამას ვერ ვხედავ. არც ერთ მინისტრს პარლამენტის არ ეშინია, მინისტრებს ვისიც ეშინიათ, შენ ჩემზე კარგად იცი.

– ივანი შვილის?

– რა თქმა უნდა, მაგრამ გვარებზე არ გვინდა საუბარი. ამ დროს პარლამენტის უნდა ეშინოდეს. პარლამენტის ავტორიტეტს ვინ განსაზღვრავს? კონსტიტუცია ერთია, მაგრამ მეორეა მისი გატარება. საბჭოთა კავშირის დროს ერთ-ერთი საუკეთესო კონსტიტუცია იყო, მაგრამ ცხოვრებაში არ ტარდებოდა. ჩვენთანაც პარლამენტს კონსტიტუციით უდიდესი უფლებები ენიჭება, მაგრამ მის ქმედებას პარლამენტარები განსაზღვრავენ, პრინციპული კანონმდებლები განსაზღვრავენ. ვინ არიან ყველაზე პრინციპულები? რომლებიც გავიდნენ მმართველი პარტიიდან. მმართველ პარტიაში არ არის „ოცნების“ წევრი, რომელიც გამოვა და იტყვის, რომ ეს მინისტრი ცუდად მუშაობს.

– ობიექტურობისთვის ისიც ვთქვათ, რომ „ოცნების“ ის წევრები, რომლებიც პარტიიდან წავიდნენ, მმართველი გუნდში ყოფნისას პრინციპულობით არ გამოირჩეოდნენ, მათი ძირითადი ბირთვი მაინც, ყოველ შემთხვევაში, ბოლო პერიოდამდე.

– მაშინ არ მოსწონდათ, მაგრამ არ ლაპარაკობდნენ ხმამაღლა. ჩვენთან არ არის პოლიტიკური კულტურა. ჩემთვის, როგორც პოლიტიკის თეორეტიკოსისთვის, ის არის ცუდი, რომ პოლიტიკური კულტურა არც იზრდება.

– რატომ? რას უკავშირებთ?

– მხოლოდ ერთი – არასწორი საკადრო სელექცია და ნეპოტიზმი. ეს არის ნებისმიერი სახელმწიფოს სარკომა. სარკომა ეს არის ავთვისებიანი სიმსივნის ყველაზე მძიმე ფორმა, რომელიც ხანმოკლე პერიოდში ბოლოს უღებს, ასე უღებს ნეპოტიზმი სახელმწიფოს ბოლოს. ეს არის მთავარი პრობლემა.

განათლების სისტემაშიც არის პრობლემა. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ კარგი პოლიტიკოსი სკოლიდან და უნივერსიტეტიდან უნდა იზრდებოდეს. უნდა იყოს დამოუკიდებელი. ინგლისში პარლამენტი როცა იქმნებოდა, აუცილებელი იყო ქონებრივი ცენზი, იმიტომ, რომ ღარიბი ადამიანი გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელი ვერ იქნება. ეს ცენზი საჭირო იყო არა მხოლოდ თანამდებობის პირებისთვის, არამედ ამომრჩევლისთვისაც. 5 კილო კარტოფილით და ხახვით ამომრჩეველს რომ ყიდულობ, საბოლოო ჯამში, ის ქვეყნის მტერია. იმიტომ, რომ ამის ფასად ადამიანს მანდატს აძლევს, რომელიც საერთოდ არ არის ამ საქმისთვის მზად. მისთვის მთავარი პირადი ინტერესებია, რაც ხშირად კონფლიქტში მოდის სახელმწიფო ინტერესებთან. ყველა პოლიტიკოსი აწყდება ამ დილემას.

მე პესიმისტურად ვარ განწყობილი, აი ჩვენ გადავაგდებთ 2020-ში, მესმის, რომ აი პრეზიდენტს ავირჩევთ და ბოლო მოეღება და ა. შ. არაფერი არ მოხდება, იმიტომ, რომ საძირკველს არ ვუყურებთ და პოლიტიკურ კულტურას არ ვამაგრებთ. ასეთი დაბალი პოლიტიკური კულტურით 5 კილო ყოველთვის მოუგებს ნიჭს და ჭკუას.

– აქ გულისხმობთ როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციასა და საზოგადოებას?

– რასაკვირველია, მთლიანად. თვითონ ოპოზიციასაც, ეს ოპოზიცია არ არის გამარჯვებისთვის დაბადებული. ეს ოპოზიცია უძლურია 5 კილო კარტოფილთან.

– რა უნდა გააკეთოს, რა ბერკეტი აქვს, გამოსავალი აქციებშია თუ რაში?

– ვერ გეტყვით. მე არ მაქვს მზა რეცეპტი. აქციებით შეიძლება მოხდეს ისე, რომ გამოვიდეს მილიონი და გადააგდოს მთავრობა, მაგრამ მე არ მაქვს გარანტია, რომ სასიკეთოდ შეიცვლება. აქციებით გადააგდო შევარდნაძე სააკაშვილმა, მაგრამ რა მივიღეთ?! მივიღეთ ის, რომ სააკაშვილი არჩევნებში დამარცხდა. გამოდის, რომ მთავრობა არ ვარგოდა. ახლა კიდევ აქციები? ვინ არის დღეს მზად, რომ ქვეყანა წაიყვანოს ევროპული ფასეულობებით და პრინციპებით. მე ევროპულ ფასეულობებსა და პრინციპებს ვერსად ვერ ვხედავ, ვერც ოპოზიციაში და ვერც მთავრობაში.

– ქობულიას ინტერვიუს დავუბრუნდეთ. მან თქვა, რომ რაც უფრო პოლიტიზირებული ხდება ანაკლიის პორტის საკითხი, დაფინანსების დიდი შანსი აქვს, რადგან „ოცნებას“ 2020-თვის პრობლემები ექნებაო. ეს პოლიტიკურ კონტექსტში უნდა გავიგოთ?

– რასაკვირველია, მაგრამ მმართველმა ძალამ ისწავლა პრაქტიკაში აპრობირება. წარმატებული ექსპერიმენტები ისწავლა პრობლემების გადაჭრისა, ის რაზეც ქობულია ლაპარაკობდა და რაზეც შენ მიანიშნებ. ნახეთ, როგორი ნოვაციებით გამოდის მმართველი ძალა. ადრე თუ იყო დაშინებები და დაჭერები, ახლა დაპირებები და მოსყიდვებია. ახლა სულ სხვა მექანიზმებია, მდიდარი ნოუ ჰაუ აღმოაჩნდა მმართველ პარტიას გამარჯვების მხრივ. საეჭვო ექსპერიმენტი ზურაბი შვილის წამოყენება პრეზიდენტობის კანდიდატად.

– კახაძის კანდიდატურის წამოყენება არ იყო სარისკო ექსპერიმენტი?

– ესეც სარისკო იყო, მაგრამ ნაკლებად სარისკო. მას ჰქონდა კარგი რეპუტაცია, როგორც კარგი ადამიანი, მაგრამ როგორც კანონმდებელი, ძალზე საეჭვო ღირებულებების. სალომე ზურაბიშვილს კი არავითარი რეპუტაცია არ ჰქონდა, სულ მინუსებში იყო, ამიტომ საეჭვო იყო მისი ბეგრაუნდი, რადგან მისი ცხოვრების ვერც ერთ ეტაპზე ვერ დამანახა, რომ საქართველოს ინტერესები მისთვის პირველ პლანზე იყო. ხელისუფლებამ ორივე შემთხვევაში მონახა ახალი მეთოდები. შევარდნაძესაც კი არ გამოუყენებია კრიმინალები, მიშაც არ იყენებდა ასე, ეს რაღაც სიახლეა უხეში ძალა, რომელიც ჩემთვის პირველად გამოჩნდა კორცხელის ამბებში. როცა იქ ატყდა ცემა-ტყეპა, მახსოვს, როგორ იფიცებოდა მაშინ მდინარაძე, რომ 2 საათში ყველანი ციხეში იქნებიან, მე გაძლევთ ამის პირობასო. მახსოვს მაშინ შს მინისტრი როგორ ამტკიცებდა, რომ დღის ბოლომდე ყველანი ციხეში იქნებიანო.

ამიტომ საკადრო პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია ნეპოტიზმზე, ეს არ არის ის, რომ მხოლოდ მინისტრად დანიშნავ ნათესავს ან შენთვის ნაცნობ ადამიანს. ეს შექმნა ჩვენმა ხელისუფალმა საქართველოს დამოუკიდებელი ისტორიისა, გამსახურდიადან დაწყებული და ივანი შვილით დამთავრებული. მათ ვერ გაუძლეს ცდუნებას, როცა არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ პროფესიონალიზმი თუ ერთგულება, ყოველთვის უფრო მიმზიდველი ერთგულება აღმოჩნდა, ვიდრე პროფესიონალიზმი. ასეთ პირობებში პოლიტიკური კულტურა არ მაღლდება, ვინაიდან პროფესიონალიზმი ვერ მართლდება და ისინი მიდიან კომპრომისზე თავის სინდისთან.

მიკვირს „ოცნების“ ახალგაზრდების, როგორ მიდიან საკუთარ სინდისთან კომპრომისზე ასე სისტემატურად და ასეთი ენთუზიაზმით. 40-50 წელი პოლიტიკაში უნდა იყვნენ, ნუთუ ჰგონიათ, რომ ამ პერიოდში სულ „ქართული ოცნება“ იქნება ხელისუფლებაში?! თუ ასეა, სულელები ყოფილან. ესეც დაბალი პოლიტიკური კულტურის ბრალია. ვერ მეტყვით „ოცნების“ ვერც ერთ წევრს, რომელსაც ჰქონდეს მაღალი პოლიტიკური კულტურა, ასეთი არ არსებობს. არის ვოლსკი, მაგრამ მას სხვა სკოლა აქვს გავლილი, სადაც ევროპული ფასეულობები და ღირებულებები მეასე რიგში იდგა.

– ვოლსკი რა კონტექსტში ახსენეთ, დაბალი პოლიტიკური კულტურა აქვს თუ მაღალი?

– პოლიტიკური კულტურა დაბალი აქვს, მაგრამ ჭკუა და გამოცდილება მაღალი. ის ზომიერია და ვოლსკის რიტორიკა 100%-ით განსხვავდება მათიკა შვილის რიტორიკისგან. რასაც მათიკა შვილი ლაპარაკობს, მას ვოლსკი არასოდეს არ იტყვის. გაცილებით თავშეკავებული და ფრთხილია, იმათ კი სიფრთხილეც დაკარგეს. მათ მართლა დაიჯერეს, რომ 30 წლით არიან მოსულები, ისე, როგორც მიშა ამბობდა.

– ქობულიას პოლიტიკაში ხედავთ? თუნდაც „ოცნებიდან“ წამოსულ დეპუტატებთან ერთად?

– ყველაფერი იქნება პირად გამბედაობაზე. ერთია, იცი ტელევიზიებში გამოსვლა და თქვენთან – ჟურნალისტებთან გულახდილობა, მაგრამ სულ სხვაა პოლიტიკაში აქტიურად ჩართვა. მაშინ უფრო მეტის ლაპარაკი მოუწევს, გვარების დასახელება მოუწევს. თქვა, რომ გარკვეული წრეები, სეგმენტი და ა. შ. ამას თავის თავზე არავინ ღებულობს, მაგრამ როდესაც გვარების დასახელებაზე გადახვალ, მაშინ მზად უნდა იყო მკაცრ შედეგებზე, პოლიტიკური შურისძიებისთვის და. ა. შ. მე არ ვიცი, ქობულია არის ამის კაცი?! ეს ჯერ მე არ ვიცი.

კახა კალაძე: „ვაშენებ, სადაც მინდა, როგორც მინდა და რამდენსაც მინდა, კატეგორიულად მიუღებელია“

– ის მიდგომები და დამოკიდებულება, რაც თბილისში წლების განმავლობაში იყო, რომ ვაშენებ, სადაც მინდა, როგორც მინდა და რამდენსაც მინდა, ეს ნამდვილად არ გამოვა.

ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის საინვესტიციო პოტენციალის სექტორული კვლევის პრეზენტაციის გახსნისას განაცხადა.

როგორც კალაძემ აღნიშნა, ეს მიდგომა და დამოკიდებულება მისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

– ეკონომიკური სექტორების დივერსიფიცირება და ახალი საინვესტიციო მიმართულებების განსაზღვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თბილისის მდგრადი განვითარებისთვის. ეს საკმაოდ საინტერესოა გრძელვადიანი პერსპექტივისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე თბილისის მერიის დაკვეთით „Deloitte საქართველომ“ განახორციელა თბილისის საინვესტიციო პოტენციალის სექტორული კვლევა, რომელიც მოიცავს თბილისში მიმდინარე ეკონომიკურ მიმოხილვას, არსებული სექტორების შეფასებას და საინვესტიციო პრიორიტეტული სექტორების იდენტიფიცირებასა და ანალიზს. კვლევა მნიშვნელოვანია დედაქალაქის გრძელვადიანი მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისთვის. ჩვენ ამაზე არაერთხელ გვისაუბრია და კვლევაშიც ნათლად გამოჩნდება, თუ რამდენად დიდი რესურსი გააჩნია ჩვენს ქალაქს. მაგრამ აქ მთავარი და მნიშვნელოვანი რაც არის, ჩვენ არავითარ შემთხვევაში ეს არ უნდა დავივიწყოთ, უნდა მოხდეს ქალაქის სწორი განვითარება. ჩვენ ეს პრობლემები გვქონდა წლების განმავლობაში და შედეგიც არის სახეზე ის, თუ როგორ განვითარდა ჩვენი ქალაქი. ჩვენ მთელი რიგი ცვლილებები განვახორციელეთ და პირველ რიგში რაც გავაკეთეთ, არის განსხვავებული მიდგომები. რა თქმა უნდა, ქალაქი წინ უნდა წავიდეს, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ სწორად, უნდა გავაკეთოთ ხარისხიანად. ის მიდგომები და დამოკიდებულება, რაც იყო წლების განმავლობაში, რომ ვაშენებ სადაც მინდა, როგორც მინდა და რამდენსაც მინდა, ეს ნამდვილად არ გამოვა. ეს მიდგომა და დამოკიდებულება კატეგორიულად მიუღებელია. ზოგადად, სამშენებლო სექტორი და ბიზნესიც გადაეწყო იმ მოთხოვნებზე და მიდგომებზე, რომელიც ჩვენი მხრიდან განისაზღვრა. სწორედ ასე იქნება ქალაქის სწორად განვითარება შესაძლებელი, – განაცხადა კალაძემ.

თბილისის მერმა ამერიკის სავაჭრო პალატას შეხვედრის ორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადა.

თბილისის საინვესტიციო პოტენციალის სექტორული კვლევის პრეზენტაცია კომპანია „Deloitte საქართველომ“ სასტუმრო „რედისონში“ გუშინ გამართა.

კვლევა თბილისის მერიის დაკვეთით განხორციელდა. ის მოიცავს თბილისის მიმდინარე ეკონომიკურ მიმოხილვას, არსებული სექტორების შეფასებას, საინვესტიციოდ პრიორიტეტული სექტორების იდენტიფიცირებასა და ანალიზს.

კვლევის მიხედვით, პრიორიტეტი მიენიჭა სტუმარ-მასპინძლობის, ჯანდაცვის, გართობისა და ვაჭრობის, ფარმაცევტულ და კრეატიულ სექტორებს. იდენტიფიცირებული სექტორების მიხედვით მომზადდა დეტალური რეკომენდაციები ინვესტორებისა და თბილისის მერიის სამომავლო თანამშრომლობისთვის, რაც მოიცავს სექტორში ინვესტირების ალტერნატიულ შესაძლებლობებს და მუნიციპალიტეტის მხრიდან მხარდამჭერ ღონისძიებებს.

„Deloitte საქართველომ“ იდენტიფიცირებული სექტორების მიხედვით შეისწავლა წარმატებული მაგალითები რამდენიმე ევროპული ქალაქის მიხედვით და თბილისის მერიას წარუდგინა რეკომენდაციები, როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული სექტორების ხელშეწყობა ინვესტიციების მოზიდვის და განვითარების მიმართულებით, მათ შორის მუნიციპალური პროგრამებით.

კომერსანტი

თამარ ჩხეიძე: „რუსეთიდან დაახლოებით იმავე პრობლემებს ვაწყდებით, რომლებიც საბჭოთა დროს გვქონდა“

„შედეგი იქნება მაშინ, თუ ოპოზიციის მონდომებას ხალხის ძალიან დიდი აქტიურობა დაემატება“

მარიამ მჭედლიშვილი

თბილისში დისიდენტების მონაწილეობით პოლონეთის საელჩოს ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია. მასში მონაწილეობდა ყოფილი დისიდენტი და დეპუტატი თამარ ჩხეიძე. „ახალი თაობა“ მას ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა.

თამარ ჩხეიძე:

– კონფერენცია მიეძღვნა პოლონური ორგანიზაცია „სოლიდარობისა“ და მაშინდელი დისიდენტების ურთიერთობას. მაშინ „სოლიდარობა“ გავლენას ახდენდა როგორც საბჭოთა კავშირზე, ისე საბჭოთა იმპერიის სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებზე. ჩვენ „სოლიდარობის“ პროკლამაციებსაც კი ვავრცელებდით. ერთ-ერთი სლოგანი იყო „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის“. ერთხელ პროკლამაციები სტადიონზე ჩამოვყარეთ, როცა მატჩი მიმდინარეობდა. ჩვენ საერთო მიზნები გვქონდა და რუსეთის იმპერიას ვუპირისპირდებოდით.

– დღევანდელ სიტუაციაზე რას ფიქრობენ პოლონელები? რა ითქმება ოფიციალური განცხადებების მიღმა?

– კონფერენციაზე ამაზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ დღევანდელ სიტუაციას დისკუსიის დროს შევეხეთ. სამწუხაროდ, დღეს რუსეთიდან დაახლოებით იმავე პრობლემებს ვაწყდებით, რაც საბჭოთა დროს გვქონდა. ეს, გარკვეულწილად ეხება როგორც დამოუკიდებლობას, ისე დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს.

– არასაკმარისი დამოუკიდებლობა და დემოკრატია გვაქვს?

– რასაკვირველია. დე იურე საქართველო დამოუკიდებელია, მაგრამ რუსეთი ყველა მხრივ ერევა ჩვენს საქმეებში. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მხრივაც არასახარბიელო ვითარება გვაქვს.

– ყველა ხელისუფლება იმას გვიმეორებს, რომ რეგიონში ლიდერები ვართ.

– რადგან ტოტალიტარიზმი არ არის, არ ნიშნავს, რომ დემოკრატია ყვავის. ისეთი ეპოქაა, ისეთი საერთაშორისო კონტროლი, რომ დიქტატურის დამყარება ძნელია. საქართველოში ავტორიტარიზმის ნიშნები და ინსტიტუციების შესუსტება თვალსაჩინოა. ამას თან ახლავს დემოკრატიული ფასადი. ასე რომ არ იყოს, ქვეყანას ვერ მართავდა ერთი ადამიანი, რომელსაც არანაირი ოფიციალური თანამდებობა არ უკავია.

– ევროპაში გაძლიერდნენ რადიკალური პოლიტიკური ძალები, განსაკუთრებით, მემარჯვენე მიმართულების პარტიები. საქართველოზე ევროპაში მიმდინარე მოვლენები ნაკლებად აისახება ხოლმე. ამჯერადაც ასე იქნება?

– ეს საქართველოში რუსეთის გეგმებზეა დამოკიდებული. საუბედუროდ, პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბებაზეც რუსეთი ახდენს გავლენას. თუ მოსკოვში ჩათვლიან, რომ „ქართული ოცნება“ რადიკალური რეაქციული ძალით უნდა ჩაანაცვლონ, ამისათვის ზომებს მიიღებენ. რადიკალური მემარჯვენე მიმართულების პარტია საქართველოში რუსებს უკვე ჰყავთ. ეს პარტია პარლამენტშიც შეიყვანეს. ეს პარტია „ოცნების“ მსგავსია. განსხვავება იმაშია, რომ ის უფრო რეაქციული, აგრესიული და ღიად პრორუსული. თუ რუსეთი ფიქრობს, რომ „ოცნება“ თავს ართმევს თავის ამოცანებს, მაშინ მას დატოვებს ხელისუფლებაში, „პატრიოტთა ალიანსი“ კი ისევ რეზერვად ეყოლება. „ალიანსს“ დიდი წვლილი შეატანინეს 2012 წელს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოყვანაში.

– არჩევნების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, „ქართული ოცნება“ წასვლას არ აპირებს.

– მართლაც, „ქართული ოცნება“ არჩევნებს იგებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი რეიტინგი დაცემულია. ამის მიზეზი კომპლექსურია. ჯერ ერთი, თავის როლს ასრულებს მენტალიტეტი. პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში არსებობს კომპლექსი, რომ ხმა სახელისუფლებო ძალას უნდა მისცე. პოპულარულია თუ არა ეს ძალა, მნიშვნელობა არა აქვს. ხელისუფლება არჩევნებზე იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს. ესაა ყველაფერი, ადმინისტრაციული ხერხებით დაწყებული, დაშინებითა და მოსყიდვით დამთავრებული. ამის გამო არჩევნები კენჭისყრის დღემდე უკვე გაყალბებულია.

– ოპონენტები საუბრობენ ზეწოლაზე არჩევნების დღესაც.

– არჩევნების დღესაც გრძელდება ამომრჩევლის დამუშავება. ერთი მხრივ, ამას აკეთებენ კოორდინატორები, მეორე მხრივ, ე. წ. ძველი ბიჭები. ოპოზიცია საუბრობდა გაყალბებაზე საპრეზიდენტო და შუალედური არჩევნების დროს. მას ჰქონდა შედეგების გაპროტესტების სურვილი, მაგრამ პასიური მონდომება საკმარისი არ არის.

– აქტიურობაა საჭირო?

– შედეგი იქნება მაშინ, თუ ოპოზიციის მონდომებას და დიდ ძალისხმევას დაემატება ძალიან დიდი აქტიურობა.

ბიძინა გუჯაბიძე: „სააკაშვილის ექსტრადიცია რეალურია“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ **ბიძინა გუჯაბიძეს**.

– გრძელდება საუბარი იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შუალედურ არჩევნებზე კრიმინალური ელემენტების დახმარებით გაიმარჯვა.

– ნაცმოძრაობა და მისგან გამოსული ყველა პარტია, როგორც წესი, თავის დამარცხებას არჩევნებში სხვას აბრალებს. მერამდენე არჩევნებია, ვერ იმარჯვებენ და ამის მიზეზად ხან რას ასახელებენ, ხან – რას. გადახედონ თავის წარსულს და მიხვდებიან, რა სჭირთ.

– ნაციონალებს მათი წარსული ხელს არ უშლით იმაში, რომ მეორე ადგილზე იყვნენ. არჩევნების შედეგით, ეს ასეა.

– ნაციონალების ამომრჩევლის ნაწილი დაბოღმილია და წარსულს მისტირის. სააკაშვილის დროს ამ ხალხს პრივილეგიები ჰქონდა. სხვა ნაწილი იქცევა ისე, როგორც სექტას შეეფერება. ეს ადამიანები აკვიატებების ფანატები არიან. ამის ახსნა ფსიქოლოგების საქმეა. ძნელი გასაგებია, რატომ ჰგონიათ მათ სააკაშვილი აღმაშენებელი და მხსნელი, ბოკერია კი – ინტელექტუალი. თან, ნაციონალები და „ევროპული საქართველო“ ერთმანეთს გაემიჯნენ. არ მესმის, ამით ვის ატყუებენ. ეს ერთი ძალაა.

– ნაციონალების ამომრჩეველი 2020 წლისთვისაც თავის მოსაზრებებს უერთგულებს?

– იშვიათი გამონათებები შესაძლებელია, მაგრამ ძირითადად სექტა და თავისი ანგარიშების მქონე ხალხი ნაცმოძრაობის ამომრჩევლად დარჩება. ჯერჯერობით, ვერ ვხედავ იმ ძალებს, ან ძალას, რომლებიც მათ ადგილს დაიკავებენ.

– 2020 წლისთვის გამოჩნდებიან ასეთი ძალები?

– პოლიტიკაში უცებ ადგილის დამკვიდრება ძნელია. სულელსაც აქვს არსებობის უფლება.

– სააკაშვილის სახელი შუალედური არჩევნების დროსაც ხშირად ისმოდა. „ოცნებამ“ მისი ექსტრადიციაც ახსენა. ხომ არ გამოვა ისე, რომ 2020 წლის მთავარი თემები ისევ ყალბი იქნება – „ძიშა მოდის“ და „ვინწყეთ მის ექსტრადიციას“ იქნება?

– დავიწყოთ იმით, რომ სააკაშვილის დაბრუნება უკრაინაში ბევრმა არასწორად შეაფასა და მას ზომაზე მეტი მნიშვნელობა მიანიჭა. სააკაშვილი დასავლეთს ყელში ამოუვიდა. მისი პოლიტიკოსობაც ბევრისთვის არ არის სასურველი. ექსტრადიცია ყალბი თემა არ არის. ეს რეალურია.

– აქამდეც გვეუბნებოდნენ, რეალურიაო, მაგრამ ეს ხალხის მოტყუება იყო. დღეს სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა დაუბრუნეს და ექსტრადიცია ადვილი არ იქნება.

– საამისოდ იურიდიული მექანიზმები მაინც არსებობს. თუ პირზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული და ორი სახელმწიფო შეთანხმდა, მისი ექსტრადიცია პრობლემა არ უნდა იყოს. ადრე სააკაშვილი აქტიურ პოლიტიკაში იყო და საქართველოს ხელისუფლებას რომ ეს ნაბიჯი გადაედგა, პოლიტიკურ დევნად შეფასდებოდა. სააკაშვილი უკრაინის პოლიტიკაში აღარ აქტიურობს და მისი ექსტრადიცია შესაძლებელია.

თამარ ლალიაშვილი: „იუსტიციის საბჭოს ევროსასამართლოს გადაწყვეტილება არ აინტერესებს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბობიდან გაათავისუფლეთო. ეს შეეხება ტურავასაც, რადგან ტურავაც ამ საქმის მონაწილე იყო.

– პროცესზე თქვეს, იმსჯელეთ და ისაევი მოსამართლეობიდან გაათავისუფლეთო?

– დიახ, ეს მათი მოთხოვნაა. მათ დააფიქსირეს, რომ ის გადაწყვეტილება, რომლითაც 2005 წელს ჩვენ გაგვათავისუფლეს, კანონიერი იყო. მე ვერ გამათავისუფლებენ, რადგან თანამდებობა არ მაქვს, მაგრამ, ბუნებრივია, ისაევსა და ტურავას შეეხებათ. ის გადაწყვეტილება დატოვეთ ძალაში, რადგან სწორად არიან გათავისუფლებულიო.

– მაშინ თქვენი გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილება რომელმა მოსამართლეებმა მიიღეს, დღესაც რომ იცავენ?

– 2005 წელს ჩვენს გათავისუფლებაზე გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლეები მურუსიძე და გოგიშვილი იყვნენ. მესამე მოსამართლე, თოდრია, განსხვავებულ აზრზე დარჩა. თოდრიას ვადა რომ ამოწურა, უკან აღარ დააბრუნეს, სამაგიეროდ, გოგიშვილი ისევ უკან დაუბრუნეს და მურუსიძემ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე გახადა. თუ ეს კლანი არ არის, მასთან ერთად გადაწყვეტილების მიმღები პირი რატომ დააბრუნა უკან, ხოლო განსხვავებული აზრის მქონე რატომ აღარ დააბრუნა?

– სტრასბურის სასამართლო გარკვეული პერიოდის შემდეგ თავისი გადაწყვეტილების შესრულებას ხომ ამოწმებს?

– რა თქმა უნდა. თან ჩვენ ამას გავასაჩივრებთ.

– მაშინ რას უპასუხებენ?

– რაც ვენეციის კომისიას უპასუხეს. მათ არ აინტერესებთ ევროსასამართლო და ევროკავშირი. ამას ისინი პირდაპირ ამბობენ. ისინი თვითნებობენ. იუსტიციის საბჭოში თვითნებობის ზეიმია – მათ ეს პირდაპირ თქვეს, მიუხედავად იმისა, კანონი აღარ არსებობს, მიგვაჩნია, რომ 2005 წელს კანონიერად იყვნენ გათავისუფლებული და ასე უნდა დარჩესო. ეს არის იუსტიციის საბჭოს გამოკვეთილი პოზიცია პირადად ჩემ, მურმან ისაევის, მერაბ ტურავასა და ნინო გვენეტაძის მიმართ.

– ამ საქმიდან გამომდინარე, გამოიკვეთა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში თქვენ მიმართ დამოკიდებულება როგორი იქნება?

– რა თქმა უნდა, ეს ხომ ფაქტია. ეს მათ მკვეთრად და მკაფიოდ თქვეს. მოსამართლემ მათ პირდაპირ უთხრა, იქნებ მოთხოვნა შეგეცვალათო, მაგრამ უპასუხეს, არა, ბატონო, ეს იუსტიციის საბჭოსთან არის შეთანხმებულიო.

იუსტიციის საბჭოში, ბუნებრივია, ანა დოლიძე და ნაზი ჯანეზაშვილი ასეთ უკანონობას არ დათანხმდებოდნენ. ცხადია, კლანთან იყო შეთანხმებული. კლანში ვინ მოიაზრებიან, საზოგადოებამ იცის.

– რას ელოდებით? იუსტიციის საბჭო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობაზე უარს გეტყვის?

– ეს მათ პირდაპირ თქვეს. იუსტიციის საბჭომ თქვა, ჩვენ ვეთანხმებით, რომ სწორად იყავით გათავისუფლებულიო. იუსტიციის საბჭოს პოზიცია, რომელიც პროცესზე გამოიხატა, აბსურდია, მაგრამ მათ ეს პოზიცია დააფიქსირეს. ამიტომ ასე არ შეიძლება გაგრძელდეს.

– უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი რომ არ ყოფილიყავით, შეიძლება დავუშვათ, რომ გაითვალისწინებდნენ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას და გაგამართლებდნენ?

– კი, ასეა. ძალიან არამომგებიანია იუსტიციის საბჭოსთვის ასეთი პოზიციის დაკავება, მაგრამ აშკარად და ნათლად გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება – ჩვენ, რაც გვინდა, იმას ვაკეთებთ, სხვა დანარჩენი არ გვაინტერესებსო. მათ პირდაპირ თქვეს, კანონი არ არსებობს, მაგრამ მაინც სწორად იყავით გათავისუფლებულიო.

– ანუ 2004 წლის შემდეგ სასამართლო ხელისუფლებაში არაფერი შეცვლილა?

– დიახ, მე ეს 10 ივნისის პროცესზე ნათლად დავინახე. იგივე სასამართლოა, იგივე სიტუაციაა. ეს მე ვთქვი. ვერც წარმოვიდგენდი, თუ იუსტიციის საბჭო დღესაც ასეთ უკანონობას მოითხოვდა. მეტი რა უნდა თქვას, როცა აცხადებს, კანონი არ არსებობს, მაგრამ მე მაინც ასე მინდაო.

– მურუსიძეები ხშირად თავს იმართლებენ, ცუდი გადაწყვეტილებები იმიტომ მიიღეს, კანონი სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალებას არ იძლეოდაო.

– კანონები არაფერ შუაშია. დღესაც იგივე კანონები მოქმედებს, რაც მაშინ იყო. კანონები არ შეცვლილა. ძალიან მცირე ნაწილში თუ შეიცვალა.

– არასამთავრობო ორგანიზაციებმა თავის დროზე განაცხადეს, რომ იუსტიციის საბჭოს ხელში დიდი ძალაუფლებაა თავმოყრილი. თქვენ ეს აშკარად იგრძენით?

– რა თქმა უნდა, ვიგრძენი. სამწუხაროდ, ხელის გადაგრეხის პოლიტიკას ატარებენ და ამას კარგი შედეგები არ ექნება. ასეთ პოლიტიკას კარგი შედეგი არასოდეს მოჰყოლია და არც ახლა ექნება. სამწუხაროდ, ასე იყო სააკაშვილიც – ხელების გადაგრეხის პოლიტიკას ატარებდა. იგივე გრძელდება.

– როგორც ვიცი 2012 წელს სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ თქვენც იბრძოდით.

– კი, მაგრამ იგივე ხდება ახლაც. სამართლიანობა არა მარტო ჩემ მიმართ, არამედ ჩემნაირი ბევრია.

– მომავალში რას გეგმავთ?

– სამეცნიერო საქმიანობას ვაგრძელებ.

გიორგი ჟორჟოლიანი: „მთავრობამ ეკონომიკური პოლიტიკა რადიკალურად უნდა შეცვალოს“

გულიკო ბალაძე

დღეს ვერ ვიტყვი, რომ ფოთის პორტის განვითარება შესაძლებელია, რადგან ასეთ ტექნიკურ საკითხებში მე ვერ შევალ. ცხადია, ეს საკითხი პრინციპულად უნდა განვიხილოთ, როგორ შეიძლება ფოთის პორტის განვითარება. რამდენად შესაძლებელია, ეს უნდა იყოს გათვლილი.

პარლამენტის წევრი **გიორგი ჟორჟოლიანი** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო გიორგი, თქვენ ეკონომიკის მინისტრს საკომიტეტო მოსმენაზე დაუსვით კითხვა, რატომ ამბობენ უარს ანაკლიის პორტის მშენებლობის გამო, ფოთის პორტის განვითარებისთვის ინვესტიციაზე. ეკონომიკის მინისტრის პასუხმა თუ დაგაკმაყოფილათ? მინდა ვისაუბროთ ფოთის პორტის განვითარება და ანაკლიის პორტის მშენებლობა ერთმანეთთან როგორ კავშირშია.

– კომპანია „აიტიემზე“ (რომელიც არის კომპანია მაილსკის შვილობილი კომპანია და ახორციელებს ფოთის პორტის მართვას) გაცემული ნებართვა გაუქმდა. სამინისტრომ თქვა, „აიტიემზე“ გაცემული ნებართვა გაუქმდა იმის გამო, რომ ტექნიკური ხარვეზები იყო. თანაც სამინისტროს ხელმძღვანელობა საქმის კურსში არ გახლდათ.

მე საკომიტეტო მოსმენაზე დავაყენე საკითხი, რომ ტექნიკური ხარვეზი შეიძლება გასწორდეს. ჩვენთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის, ფოთელებისთვის და არაფოთელებისთვის საინტერესოა, ზოგადად, ამ საკითხისადმი დამოკიდებულება. თუ ტექნიკური შეცდომაა, გასწორდება. საკითხი ასე დგას, რატომ უნდა ვთქვათ უარი ფოთის პორტის განვითარებაზე და ამისთვის ინვესტიციაზე. ეს მინისტრს არ უთქვამს, მაგრამ გახმოვანდა შეხედულებები და გაისმა მოწოდებები, გინდა თუ არა, ყველაფერი უნდა დავუქვემდებაროთ ანაკლიის პორტის ინტერესებს, სხვა ყველა პროექტის განხილვა მიუღებელია.

ეს მინისტრს არ უთქვამს, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება აშკარა იყო, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებისაგან. ისინი თითქმის ერთხმად ასეთ დამოკიდებულებას აფიქსირებდნენ. ამასთანავე, ხელისუფლების წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ კონსორციუმს იმის გამო, რომ მთავრობამ შეასრულა თავისი ვალდებულებები ანაკლიის პორტთან დაკავშირებით, ხოლო კონსორციუმი ამას ვერ ასრულებს.

შესაბამისად, მე დავაყენე საკითხი, თუ ეს ასეა, მაშინ კონკურსის დროს მთავრობას კონსორციუმი არასწორად შეურჩევია, რადგან ასეთი მსხვილი პროექტის დროს ისეთი კომპანია უნდა აირჩიო, რომელიც აღებულ ვალდებულებებს შეასრულებს.

დღეს ვერ ვიტყვი, რომ ფოთის პორტის განვითარება შესაძლებელია, რადგან ასეთ ტექნიკურ საკითხებში მე ვერ შევალ. ცხადია, ეს საკითხი პრინციპულად უნდა განვიხილოთ. როგორ შეიძლება ფოთის პორტის განვითარება, რამდენად შესაძლებელია, ეს უნდა იყოს გათვლილი.

მინისტრმა მიპასუხა, რომ ის მზადაა განიხილოს, შეხვდება „აიპიემის“ წარმომადგენლებს და ამ საკითხს განიხილავენ. ახლა არ შემიძლია გითხრათ, სამინისტროს რა დამოკიდებულება აქვს. მინისტრმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ ამ საკითხს განიხილავს, ანუ დამეთანხმა იმაში, რომ ეს საკითხი განხილვას ექვემდებარება.

თუმცა, მანამდელი მოქმედება და მანამდელი რიტორიკა ამის საწინააღმდეგოა. ამიტომ დავუსვი კითხვა, რაზეც მიპასუხა, ფოთის პორტის განვითარება განხილვას ექვემდებარება, თუმცა, ანაკლიის პორტი პრიორიტეტულია.

მე ვამბობ, რომ თუ ანაკლიის პორტი პრიორიტეტულია, უნდა იყოს პრიორიტეტული, მაგრამ ყველაფერი უნდა იყოს გამჭვირვალედ ნაჩვენები – თუ არ შეიძლება ფოთის პორტის განვითარება, მაშინ როგორ შეიძლება და რა ხდება. ჩვენი ხალხისთვის ყველაფერი აშკარა უნდა იყოს.

ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაციები და რიტორიკა ასეთი იყო – ფოთის პორტის განვითარების პროექტი არის ქვედა დინება, ანაკლიის პორტს ემუქრება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამის განხილვა, ეს მტრობაა და ა.შ., რაც, ვფიქრობ, აბსოლუტურად არაგონივრულია.

ნებისმიერი პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის სატრანსპორტო განვითარებას, ქვეყნის ეკონომიკას გამოადგება, განსახილველია.

– შთაბეჭდილება იქმნება, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობის გამო, შეიძლება უარი ითქვას დიდი ოდენობის ინვესტიციაზე ფოთის პორტის განვითარებისთვის?

– მინისტრმა თქვა, რომ კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდება და განიხილავს, ანუ ეს საკითხი, რა თქმა უნდა, განხილვას ექვემდებარება. ახლა მეტის თქმა არ შემიძლია. შთაბეჭდილება იქმნება და შეთქმულება მზადდება-მეთქი, ამის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ეს საკითხი უსათუოდ განხილვის საგანი უნდა გახდეს.

– ცნობილია, რომ ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტი შენდება. ფოთის პორტის განვითარების როგორი პროექტის განხორციელებაზეა საუბარი?

– ეს საკითხი უნდა იყოს ძალიან საფაროდ და სიღრმისეულად განხილული. არ განხილვა, ამის გაკეთება არ შეიძლებაო. სწორედ ასეთი ლაპარაკი არ შეიძლება. ყველაფერი განხილვას უნდა დაექვემდებაროს. არასერიოზული იქნება, ახლა მე თქვენ რომ გელაპარაკოთ, რანაირი პორტი უნდა აშენდეს ფოთში.

გარკვეული განცხადებები გააკეთა ფოთის პორტის მმართველი კომპანიის ხელმძღვანელობამ. ვფიქრობ, ეს პროცესი გაგრძელდება. მე საკითხით დაინტერესებული ვარ და შევეცდები, უფრო ღრმად გავერკვე. დღეისთვის მეტის თქმა არ შემიძლია. ტექნიკურ დეტალებზე საუბარი არასერიოზული იქნება. საკითხი სიღრმისეულად უნდა იქნას განხილული.

– თქვენი შთაბეჭდილებით ორივე პროექტის განხორციელება შესაძლებელია?

– დღეს ამის თქმა შეუძლებელია. პროექტში რა იგულისხმება, ტექნიკური მახასიათებლები როგორია, არ შემიძლია გითხრათ. განვითარება ორივე მიმართულებით რომ საჭიროა.

ფოთი ტრადიციულია, მისი განვითარება ნიკო ნიკოლაძის იდეაა. დღეს ფოთში მოსახლეობა მცირდება. თუ ფოთში რაიმეს განვითარებას ექნება ადგილი, ეკონომიკური პოტენციალი გაიზრდება და სამუშაო ადგილები შეიქმნება, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია. ტექნიკურად რა ხდება, ზღვის როგორი ნაპირია, რომელი რა ჯდება, სახელმწიფოს ვალდებულება რა არის, შედეგებს რას მოიტანს და ა.შ. ძალიან ბევრი პარამეტრია, ამის განხილვის გარეშე ხელაღებით პროექტზე უარის თქმა როგორ შეიძლება.

– ანუ ეკონომიკის განვითარებისთვის – ინვესტიციის მოზიდვისა და სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით, ფოთის პორტის განვითარების პროექტი ხელაღებით არ შეიძლება უარვყოთ?

– რა თქმა უნდა, ამ პროექტის ხელაღებით უარყოფა არ შეიძლება. თუმცა, შეიძლება ეს პროექტი ტექნიკურად არ იყოს გათვლილი. მთავარი საკითხი არ არის, რა აშენდება. მთავარი საკითხია, ამის თაობაზე როგორ მიიღება გადაწყვეტილებები.

– მთავრობა, ზოგადად სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს?

– მთავრობა რა ეკონომიკურ პოლიტიკასაც ატარებს, მე ის მცდარ ეკონომიკურ პოლიტიკად მიმაჩნია.

– რატომ?

– მთავრობა ჩვენთან ატარებს შემდეგ ეკონომიკურ პოლიტიკას – ძირითადად მთავრობას განვითარების პოლიტიკა მინდობილი აქვს ბაზრისთვის. მიაჩნია, რომ თვითონ ბაზარი განავითარებს ეკონომიკას. ეს არის ტყუილი. ეს არ მოხდება. ამიტომაც ქართული ეკონომიკა სასურველი ტემპებით არ ვითარდება – არ იქმნება საჭირო რაოდენობით სამუშაო ადგილები, საქართველოში არ იქმნება კონკურენტული პროდუქცია, რომელიც გავა ექსპორტზე და დაიკავებს თავის ადგილს გლობალურ ეკონომიკაში. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკა სერიოზულად არ შეიცვლება, მუდმივად ვიქნებით ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ვართ.

– მთავრობამ როგორი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გაატაროს?

– ჩემი აზრით, მთავრობამ ეკონომიკური პოლიტიკა რადიკალურად უნდა შეცვალოს. ეს არ არის მხოლოდ ამ მთავრობის პრობლემა, ამ მთავრობის, წინა მთავრობისა და იმის წინა მთავრობის პრობლემაა. ეს არის ჩვენი სახელმწიფოს ტიპის პრობლემა. მთავრობამ უნდა იკისროს განვითარების ორგანიზატორის როლი, უნდა შეარჩიოს პრიორიტეტები, უზრუნველყოს სამუშაო ძალებისა და ყველა რესურსის ორგანიზება იმ პრიორიტეტის მიხედვით, რომელიც ქვეყნის განვითარებისთვის პერსპექტიულია. ამას არც ერთი ჩვენი ხელისუფლება არ აკეთებს.

– რატომ ვერ აკეთებს დასკვნებს ხელისუფლება და ეკონომიკურ პოლიტიკას რატომ არ ცვლის?

– ეს ძალიან რთული საკითხია. პრაქტიკულად, ასე მუშაობს ყველა ყოფილი საბჭოთა ეკონომიკა და ყველა პოსტსაბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკა. ეს არის გაბატონებული, ე.წ. რადიკალური ნეოლიბერალური მიდგომები, რომელსაც სახელმწიფოს როლი, პრაქტიკულად, ნულამდე დაჰყავს ეკონომიკის ორგანიზებაში და ეკონომიკური პროცესების წარმართვაში.

მიჩნეულია, რომ ბაზარი ამას თავისთავად დაარეგულირებს. ეს არის მცდარი პოლიტიკა. ეს არის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის მთავრობის პრობლემა. თუ არსებული ეკონომიკური პოლიტიკა არ შეიცვალა, ეკონომიკა რადიკალურად არ გაჯანსაღდება. რასაც მე ვამბობ, რევოლუციური ცვლილებაა. ისე კი არ არის, ახლა მთავრობას ვეტყვით და შეიცვლება. ვერ შეიცვლება, რადგან ეს მთავრობა ამ პრინციპზეა აგებული და ათწლეულებია ასე მუშაობს.

– რატომ ვერ ცვლიან?

– არსებული ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა ადვილი არ არის. მთელ მსოფლიოში ამ პოლიტიკის შეცვლას ცდილობენ. ვერ ცვლიან, რადგან ეს ადამიანები მიიჩნევენ, რომ ასეა სწორი. მე რადიკალურად განსხვავებულად ვფიქრობ. შეიცვლება იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება მთავრობა, სახელმწიფოს ტიპი. მიზანი ის კი არ არის, მცირე მთავრობა გვყავდეს, მთავარია, ეფექტური მთავრობა იყოს. მიზანი სამუშაო ადგილების შექმნა, მეცნიერების განვითარება, სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა იყოს.

ამ მხრივ დღევანდელი მთავრობა წინასთან შედარებით ფრთიანი ანგელოზია როგორც პოლიტიკური ქცევის ნაწილში, ასევე სხვა მხრივაც. რაც შესაძლებელია არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში, ყველაფერს აკეთებს, მაგრამ ფუნდამენტური ცვლილებაა საჭირო. ფუნდამენტური ცვლილება საჭიროებს სტრუქტურულ ცვლილებას, ცვლილებას ხედვებში, მსოფლმხედველობაში, რადიკალურ ცვლილებებს, საერთოდ, მმართველობაში. რაზეც მე ვლაპარაკობ, რევოლუციური ცვლილებაა.

დავით მესხიშვილი: „ჰაერის დაბინძურების პრობლემები ძირითადად ტექნიკურად გაუმართავ ავტომობილებზე მოდის“

– პრაქტიკულად ყველა ორგანიზაციის კვლევაში გამოჩნდა, რომ ჰაერის დაბინძურების პრობლემები ძირითადად ტექნიკურად გაუმართავ ავტომობილებზე მოდის, ამავე მიზეზით ხდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, რომლის სტატისტიკაც, სამწუხაროდ, არ წარმოებდა, – განაცხადა რადიო კომერსანტის გადაცემაში „პროფესიონალები“ ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაციის პრეზიდენტმა, დავით მესხიშვილმა.

მესხიშვილის განცხადებით, ტექნიკური ინსპექტირება მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან სრული დატვირთვით შევიდა ძალაში და ამ პროცესმა გამოაჩინა ის ხარვეზები და პრობლემები, რომლებზეც ღია და გახსნილი საუბარი მნიშვნელოვანი და საჭიროა.

– ჩვენ თუ არ ვისაუბრეთ პრობლემებზე, პროცესი წინ ვერ წავა. პრაქტიკულად, ყველა ორგანიზაციის კვლევაში გამოჩნდა, რომ ჰაერის დაბინძურების პრობლემები ტექნიკურად გაუმართავ ავტომობილებზე მოდის, ამავე მიზეზით ხდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები (რომლის სტატისტიკაც სამწუხაროდ არ წარმოებდა). მესამე და ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ხელშეკრულებაში არის შესაბამისი ევროდირექტივები, რომლებიც უნდა დანერგილიყო. ამდენად, ამ საკითხების ერთობლიობით გადაწყდა ინსპექტირების ძალაში შესვლა. უკვე სავალდებულო მოთხოვნაა ავტომობილში კატალიზატორის არსებობა. მსგავსი მოთხოვნების შესრულება დაკავშირებულია ძალიან დიდ ხარჯებთან, მათ შორის ავტომობილში ძრავის საკითხებთან, რაც რამდენიმე ასეული და რიგ შემთხვევებში ათასი და მეტი ლარიც კი ჯდება, – აღნიშნა დავით მესხიშვილმა.

მისი თქმით, იმის გამო, რომ ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება, ასევე იზრდება გულსისხლძარღვთა და სხვა დაავადებების მაჩვენებლებიც საზოგადოებაში გაჩენილია უკმაყოფილება.

– ამიტომ აუცილებლად არის მოსაძებნი შუალედი, გარდამავალი პერიოდი. სამწუხაროდ, საზოგადოებასთან არავინ ურთიერთობს, სახელმწიფო ვალდებულია მოქალაქეებს აცნობდეს ამ რეფორმის მნიშვნელობას და უხსნიდეს მის უპირატესობებს.

თუმცა, გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევა მხოლოდ ინსპექტირებით არც ერთ ევროპის სახელმწიფოს არ მოუხდენია. ინსპექტირების პროცესთან ერთად, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს პროგრამები ავტოპარკის განახლების მიმართულებით. ამისთვის საჭიროა რამდენიმე ღონისძიების გატარება, მათ შორის, საზღვარზე ევრო ხუთი სტანდარტის დაწესებას, ასევე განბაჟების ტარიფების გადახედვას, რომელიც ნამდვილად მახინჯი სისტემაა. ავტოპარკის განახლება უნდა დავუკავშიროთ საბანკო შეღავათებსაც. ის ადამიანები, რომლებიც ძველ ავტომობილს ჩააბარებენ, ახალი ავტომობილის ყიდვის პროცესში უნდა არსებობდეს გარკვეული საბანკო შეღავათები, რისი თანამონაწილეც სახელმწიფო უნდა იყოს რაღაც დონით. ასევე, გასათვალისწინებელია საწვავის ხარისხთან დაკავშირებული საკითხები, იმპორტის დროს საწვავი შეიძლება კარგი იყო, მაგრამ დისტრიბუციის პროცესში აღარ ვიცით როგორია. სადისტრიბუციო წესრიგი არ არსებობს და საჭიროა მისი კონტროლი. გარემოს გაჯანსაღების პროცესი დამოკიდებულია ასევე ავტონაწილებზეც, საუბარია ხუნდებთან, საბურავებთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ნამდვილად კომპლექსური პრობლემაა და ჩვენ ვითხოვთ სახელმწიფო პროგრამების არსებობას.

ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაციის პრეზიდენტი ამ სისტემის მუშაობაში მთავარ პრობლემად ერთიანი ელექტრონული ბაზის არ არსებობასაც ასახელებს.

– იყო დაპირება, რომ შეიქმნებოდა ერთიანი ელექტრონული ბაზა, თუმცა ერთის ნაცვლად, გვაქვს 3 ელექტრონული პროგრამა. ინსპექტირების ასოციაციას პირველივე დღიდან ჰქონდა დაწყებული ამ პროგრამაზე მუშაობა და ჩვენ გვაქვს უკვე ასეთი ერთიანი ელექტრონული პროგრამა, რომელიც შეესაბამება ყველა საჭირო მოთხოვნას და არის თანამედროვე. თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან შემოთავაზებული გვაქვს სამი პროგრამა, რომელთა შედარებებიც ვერ ხდება, ისინი ვერ ხედავენ ერთმანეთს და რთულდება შსს-ს, ინსპექტირებისა და აკრედიტაციის ცენტრებისთვის ამ ინფორმაციების დამუშავება. ჩვენ ვთავაზობთ სახელმწიფოს დანერგოს ჩვენ მიერ შემუშავებული ერთიანი პროგრამა. შეჯამებული სახით სტატისტიკა არ გვაქვს და აქედან გამომდინარე შეუძლებელი იქნება სამომავლო გეგმების განხორციელება, – ამბობს დავით მესხიშვილი.

კომერსანტი

ზვიად კუპრავა სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

სასამართლოს უპატივცემულობის ფაქტზე დაკავებულ „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელ ზვიად კუპრავას აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ძალაში დარჩა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ელენე გოგუაძემ გუშინ, 11 ივნისს, გამოაცხადა.

სასამართლომ კუპრავასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის გირაოს, ან პარლამენტის წევრთა თავდებობის სანაცვლოდ გათავისუფლების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

კუპრავას თავდებში უდგებოდნენ პარლამენტის წევრები: რომან გოცირიძე, ნიკა მელია, კობა ნაყოფია და მამუკა ჩიქოვანი. კუპრავას ასევე თავდებში უდგებოდნენ ზაალ უდუმაშვილი და კობა ხაბაზი.

კუპრავას საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებას მომდევნო სხდომაზე გამოაცხადებს.

განაჩენი გუშინდელ სასამართლო სხდომაზე უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა, პროკურორ ქეთევან გურაშვილის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო.

შეგახსენებთ, გამოძიების ინფორმაციით, 2018 წლის 11 ივნისს ზვიად კუპრავამ სასამართლოს შენობაში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მოსამართლეს, რისთვისაც მას ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით (სასამართლოს უპატივცემულობა). ამისთვის ზვიად კუპრავას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო, იმ მიზნით, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენა და უზრუნველყოფილიყო სამართალდამცავ ორგანოში/სასამართლოში მისი გამოცხადება.

სასამართლოს უპატივცემულობის შემდეგ, გირაოს ქვეშ მყოფმა ზვიად კუპრავამ, ასევე სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ადვოკატს. აღნიშნული ქმედებისთვის ზვიად კუპრავას სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა) ბრალი დაუსწრებლად წარედგინა, ვინაიდან მან თავი აარიდა სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას. გირაოს პირობების დარღვევის – ახალი დანაშაულის შესაძლო ჩადენის, სამართალდამცავ ორგანოში არგამოცხადების, მართლმსაჯულებისთვის თავის არიდების – გამო, სასამართლოს გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 21 თებერვალს ზვიად კუპრავას გირაო შეეცვალა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით – პატიმრობით. აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომა ჩატარდა ზვიად კუპრავას გარეშე, ვინაიდან ბრალდებულმა თავი აარიდა მართლმსაჯულებასაც.

ხაშურში ვეტექიმი დაჭრეს

ხაშურში ცხოველთა თავშესაფრის თანამშრომელი დაჭრეს. ვეტექიმს ჭრილობები ცივი იარაღით აქვს მიყენებული.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცი მისი მეგობარი ქალის ძმამ დაჭრა. მომხდარს კი, წინ კონფლიქტი უძღოდა.

არსებული ინფორმაციით, დაჭრილმა ქალზე ფიზიკურად იძალადა, რასაც დაპირისპირება მოჰყვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დამნაშავე იდენტიფიცირებულია. მომხდარზე გამოძიება, სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ალექსი სიხუაშვილს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

სასამართლო საავადმყოფოში ჩატარდა

გუშინ, 11 ივნისს, „ბილდინგ დეველოპერის“ დირექტორს, ალექსი სიხუაშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე სასამართლო საავადმყოფოში მსჯელობდა.

ბოჭორიშვილის კლინიკაში ალექსი სიხუაშვილის გადაყვანა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გახდა საჭირო.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ბრალდებულის დაკავების შემდეგ საკანში სტენოკარდიული შეტევა დაემართა. სიხუაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, დეტალურ ინფორმაციას არ ავრცელებს კლინიკა.

ბრალდება ალექსი სიხუაშვილს ერთ-ერთი ტენდერის პირობების შეუსრულებლობას და ბიუჯეტის სახსრების მითვისებას ედავება, რასაც ბრალდებული არ აღიარებს.

სიხუაშვილს გამოძიება თაღლითობის

გზით სხვისი ნივთის მითვისებას ედავება.

საუბარია სოფელ ბადიაურში წყალგაყვანილობის პროექტზე, რომელსაც „ბილდინგ დეველოპერი“ ახორციელებდა და რომლის შედეგად კომპანიის მფლობელმა ბიუჯეტის ფული მიითვისა.

ირკვევა, რომ შპს-ს 7 მილიონიანი კონტრაქტი, გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ პრემიერის დავალებით გაუფორმა. ამ კომპანიის დირექტორი კი თბილისის მერის მოადგილის ძმაა.

ალექსი სიხუაშვილის დაკავება „შაბათის კურიერის“ ეთერში მისი საქმიანობის შესახებ სიუჟეტის გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე, ეთერში ანონსის გასვლის შემდეგ მოხდა.

აღაიანთან მერსედესი გზიდან გადავარდა

3 ადამიანი დაშავდა

გუშინ, 11 ივნისს, ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე ავარია მოხდა.

სოფელ აღაიანთან მერსედესის მარკის ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა.

დაშავებული 3 მგზავრია, მათგან ერთ-ერთი მცირეწლოვანია. დაშავებულები მანქანიდან სასწრაფოს მისვლის შემდეგ ამოიყვანეს.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში განაცხადეს, გამოძიება 276 მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო.

16 წლის გოგონას გაუპატიურებაში ბრალდებულ 40 წლის მამაკაცს პატიმრობა შეეფარდა

გურჯანის რაიონულმა სასამართლომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 16 წლის გოგონას გაუპატიურებაში ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

დაკავებული 40 წლის მამაკაცი წარდგენილ ბრალს არ აღიარებს.

შეგახსენებთ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 16 წლის გოგო, რომელმაც ბავშვი გააჩინა, 40 წლის ნათესავს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებდა. გოგონა მე-11 კლასის მოსწავლეა.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტის, ლია ხუროშვილის ინფორმაციით, არასრულწლოვანმა ორსულობის შესახებ მაშინ გაიგო, როდესაც სკოლაში შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში წაიყვანეს. არასრულწლოვანმა იმ დღესვე იმშობიარა.

მომხდარზე გამოძიება 147-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც არასრულწლოვნის მიმართ წინასწარი შეცნობით გაუპატიურებას გულისხმობს.

დანაშაული 10-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბელიაშვილზე მოტოციკლი მანქანას დაეჯახა

მოტოციკლისტი მძიმედ დაშავდა

თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, მოტოციკლი და მსუბუქი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახნენ.

მოტოციკლის მძღოლი მძიმედ დაშავდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, დაშავებული სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ველისციხის ინციდენტისთვის დაკავებული 3 პირი გირაოთი გამოუშვეს

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ ველისციხის ინციდენტის დროს დაკავებული სამივე ბრალდებული გაათავისუფლა.

დაცვის მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების პატიმრობით შეცვლის შესახებ მოსამართლემ დააკმაყოფილა და სამივე მათგანს 3.000-ლარიანი გირაო შეუფარდა.

გოჩა მაისურაძეს, თენგიზ ჯანიაშვილსა და მამუკა უსინაშვილს გამოძიება ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის შოთა დალაქიშვილის მიმართ ფიზიკურ შეურაცხყოფას ედავებოდა. ორივე მათგანი პოლიციამ 2018 წლის 18 დეკემბერს დააკავა. გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო.

პროცესზე ადვოკატებმა ყველა მტკიცებულება უდავოდ ცნეს, რის შედეგადაც მოსამართლე დავით ნარიმანიშვილმა მათ მიმართ ნაკლებად მკაცრი სასჯელი გამოიყენა.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა, ბატონმა თენგიზ ჯანიაშვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი სცნო დამნაშავედ და საქმეში წარმოდგენილი მასალები გახადა უდავოდ. მხარი დაუჭირა ჩვენს შუამდგომლობას ბრალდების მხარემ, სასამართლომ იხელმძღვანელა კანონის გათვალისწინებით ყველა იმ მოთხოვნებით და გაათავისუფლა ისინი პატიმრობისგან და შეეფარდათ გირაო, – განაცხადა თენგიზ ჯანიაშვილის ადვოკატმა.

მორიგი სასამართლო პროცესი მიმდინარე წლის 26 ივლისს 12:00 საათზე ჩაინიშნა.

გორში 10 წლის ბავშვი ადუღებულ წყალში ჩავარდა და გარდაიცვალა

გორში, ჭალის დასახლებაში, 10 წლის ბავშვი გარდაიცვალა.

ამის შესახებ ინფორმაციას ბავშვის ახლობლები ავრცელებენ.

მათი თქმით, მოზარდი ადუღებულ წყალში ჩავარდა და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ბარნოვის ქუჩაზე ავტომანქანა ხუთ გაჩერებულ ავტომობილს დაეჯახა

ბარნოვის ქუჩაზე ავტომობილი 5 გაჩერებულ ავტომობილს დაეჯახა. შედეგად სხეულის დაზიანება მიიღო მძღოლმა, რომელიც მოძრავ ავტომობილს მართავდა.

ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მომხდარი ავარიის გამო მოძრაობა შეზღუდული იყო ბარნოვის ქუჩაზე.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს.

რუსთავი-თბილისის ავტობანზე მერსედესი მიკროავტობუსს დაეჯახა

4 ადამიანი დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავი-თბილისის ავტობანზე.

ერთმანეთს მერსედესის მარკის ავტომობილი და დისტრიბუციის მიკროავტობუსი შეეჯახნენ. შემთხვევის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა. ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების 3 და საპატრულო პოლიციის 4 ეკიპაჟი. დაშავებულები კლინიკა რუსთავში გადაიყვანეს.

არსებული ინფორმაციით, პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მოლდოვაში ორხელისუფლებიანობაა

მოლდოვაში ორხელისუფლებიანობაა. არსებობს ორი მთავრობა. პირველს პავლე ფილიპი უდგას სათავეში, მეორეს – მაია სანდუ.

არმია და პოლიცია ჯერჯერობით ფილიპს ემორჩილებიან.

მაია სანდუ და მისი მინისტრები მთავრობის სახლის შენობაში არ შეუშვეს. იქ სხდომას პავლე ფილიპის კაბინეტი მართავდა. მაია სანდუს კაბინეტმაც სხდომა პარლამენტის შენობაში გამართა.

ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი აღნიშნავს, რომ მოლდოვაში ანტიოლიგარქიული რევოლუცია დაიწყო.

– ის ფაქტი, რომ საქმე აქამდე მივიდა, მიუთითებს ერთზე: მოლდოვა, როგორც სახელმწიფო, ვერ შედგა! ანტიოლიგარქიული რევოლუციის შედეგადაც ჯერჯერობით მხოლოდ პრორუსული ძალები გაძლიერდნენ, – მიიჩნევს პორტნიკოვი.

მოლდოვის მოსახლეობის 45% ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეა; 43% მხარს ევროკავშირს უჭერს; დანარჩენებს ამ საკითხზე პოზიცია არ გააჩნიათ.

ხალხი მოლდოველი პოლიტიკოსებით იმედგაცრუებულია.

შეკითხვაზე, ვინ გსურთ რომ მოლდოვის პრეზიდენტი იყოს, ხმები ასე განაწილდა: ვლადიმერ პუტინს მხარი 43,%-მა დაუჭირა; მეორეზე მიხეილ სააკაშვილი გავიდა (40%); შემდეგ მოდიან იგორ დოდონი და პრეზიდენტის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებელი პაველ ფილიპი.

რუსეთში ჟურნალისტ ივან გალუნოვის წინააღმდეგ საქმე შეწყვიტეს



რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამომძიებელი ჟურნალისტის ივან გალუნოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის წარმოება შეწყვიტა. მას შინაპატიმრობიდანაც გაათავისუფლებენ.

აღნიშნულ ინფორმაციას საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსი“ შინაგან საქმეთა მინისტრ ვლადიმირ კოლოკოლცევზე დაყრდნობით ავრცელებს.

ჟურნალისტის გათავისუფლების მიზეზი ის გახდა, რომ მას ბრალი ვერ დაუმტკიცეს.

გალუნოვი გასულ კვირას დააკავეს. ის ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენაში იყო ბრალდებული.

თავად ჟურნალისტი ბრალდებას უარყოფდა და ამტკიცებდა, რომ ნარკოტიკები თავად სამართალდამცველებმა ჩაუდეს.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მას 10-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

პომპეომ რუსებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა

1991 წლის 12 ივნისს რუსეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

აშშ-ი სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ რუსებს ეს დღესასწაული მიულოცა.

– შორეულ 1991 წელს რუსეთმა დემოკრატიის გზა აირჩია. ვიმედოვნებთ, რომ დღესაც ამას არ გადაუხვევენ! – თქვა პომპეომ.

კიმ ჩენ ინის ძმა ამერიკის დაზვერვასთან თანამშრომლობდა?!

„ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, ჩრდილოეთ კორეის დიქტატორ კიმ ჩენ ინის ძმა, კიმ ჩენ ნამი, ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან (ცსს) თანამშრომლობდა. გაზეთი იმოწმებს ინფორმირებულ წყაროს, რომელმაც ეს ცნობა მიაწოდა.

თავად ცსს-ს ამ პუბლიკაციაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

კიმ ჩენ ნამი 2017 წელს მალაიზიაში მოკლეს. ამაში ბრალს სდებენ ჩრდილოეთ კორეის სპეცსამსახურებს.

მალიში თავდასხმას 95 ადამიანი ემსხვერპლა

მალიში, დოგონების ეთნიკური ჯგუფის სოფელზე თავდასხმას სულ მცირე 95 ადამიანი ემსხვერპლა.

მედიის ინფორმაციით, სოფლის მცხოვრებლები დახოცეს და შემდეგ სოფელს ცეცხლი წაუკიდეს.

თავდამსხმელების ვინაობა დადგენილი არ არის, თუმცა, არსებობს ეჭვი, რომ ეს მეზობლად მცხოვრები ფულანის ეთნიკური ჯგუფის მიერ არის მოწყობილი.

ამ ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის სისხლიანი დაპირისპირება იანვრიდან პერმანენტულად მიმდინარეობს და ასობით ადამიანია დაღუპული.

მარტში ფულანის ჯგუფზე თავდასხმას 150 კაცი შეეწირა, რაც ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ეპიზოდია მალის თანამედროვე ისტორიაში.

თურქმა პილოტებმა ამერიკული ავიაბაზიდან ფრენები შეწყვიტეს

ამერიკელებმა თურქი სამხედრო მფრინავების მომზადების პროგრამა შეაჩერეს. თურქმა პილოტებმაც არიზონაში მდებარე ამერიკული სამხედრო ბაზიდან ფრენები შეწყვიტეს.

ამერიკელთა გადაწყვეტილება თურქების მიერ რუსული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შეძენამ განაპირობა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამაკაცმა ჩქაროსნულ მატარებელს გზაზე ორი წამით გაუსწრო

დიდ ბრიტანეთში მამაკაცმა რკინიგზაზე ჩქაროსნული მატარებლის გავლამდე ორწამიანი ხევრით ადრე გადაირბინა.

სარკინიგზო კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მამაკაცი, რომელიც სადგურ პიტერბროში მუშაობს, „გაერთო“ და ვერ შენიშნა, თუ როგორ მოჰქროდა მისკენ საათში 164 კილომეტრი სიჩქარით ჩქაროსნული მატარებელი.

მამაკაცი მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ მემანქანემ დროულად მისცა ხმოვანი სიგნალი და დაამუხრუჭა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რკინიგზელისთვის ზედამხედველობა სადგურის სხვა თანამშრომელს უნდა გაეწია, თუმცა ის გაურკვეველი მიზეზით ადგილზე არ იმყოფებოდა.

რკინიგზაზე ინციდენტების აღკვეთისა და გამოძიების სამსახურის უფროსმა ინსპექტორმა საიმონ ფრენჩმა რკინიგზელების საქციელს „იმედგაცრუება“ უწოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ხელბურთელთა ნაკრებმა ირლანდიაც დაამარცხა, წინ გადამწყვეტი მატჩებია

საქართველო-ირლანდია 37:17

თბილისი. სპორტის სასახლე

საქართველო: თევზაძე, ცინცაძე (1); ცხოვრებაძე (7), გოგოლაძე (5), მიქავა (4), არსენაშვილი (4), ორჯონიკიძე (3), კბილაშვილი (3), დიხამინჯია (3), რუსტამოვი (2), კალანდაძე (2), ჩიქოვანი (1), ჭანტურია (1), იმნაძე (1)

ირლანდია: ბონაგვიდი, შ.ორეილი; თილი (4), ვანდუივენვორდე (4), თომპსონი (4), კულეში (1), ქ.ორეილი (1), ჯ.კრონ-გრეისი (1), თ.კრონ-გრეისი (1), გეგანი (1), დარსი, ბაუერი

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ერთა თასზე 37:17 დაამარცხა ირლანდია და 3 თამაშიდან 6 ქულა აქვს. ნახევარფინალისტების ვინაობა თბილისის სპორტის სასახლეში ჯგუფური ეტაპის ბოლო 2 ტურის შემდეგ გაირკვევა.

ნაკრების მწვრთნელმა ნიკოლა მაქსიმოვიჩმა თამაში ამჯერად ძირითადი შვიდეულით დაიწყო. ანგარიში ირლანდიამ გახსნა და მე-10 წუთზე ფრე იყო – 4:4. შოთა თევზაძემ, რომელიც მატჩის ბოლოს 11 სეივით საუკეთესოდ დასახელდა, რეგულარულად დაიწყო მეტოქის დარტყმების მოგერიება და საქართველოს ნაკრებმა ნელ-ნელა დაიწყო წინ გასვლა. ამას მოჰყვა რეზო ჭანტურიას ტრავმა, მოთამაშეებს შორის გაწევ-გამოწევა, მსაჯთან მუდმივი კამათი და საკმაოდ ბევრი გაძევება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრებმა თამაშის ნახევარი უპირობოდ, 18:7 მოიგო, პირველი ტაიმის საერთო ფონი მაინც დაძაბული იყო.

მეორე ტაიმში საქმე ბოლომდე მიიყვანა მეორე შვიდეულმა: ჭანტურია მშვენივრად შეცვალა ირაკლი გოგოლაძემ, პივოტის პოზიციიდან არსენაშვილის 4 გოლს 4 დაუმატა მიქავამ, შოთა თევზაძის საქმე წარმატებით გააგრძელა ზურაბ ცინცაძემ და გოლიც კი გაიტანა. გოლი გაიტანა საქართველოს ნაკრების ყველა მოთამაშემ, ნიკოლოზ კალანდაძეს კი 7 საგოლე პასი დაუგროვდა.

საბოლოოდ, 37:17. ამხელა სხვაობის მიუხედავად, მეორე ტაიმიც საკმაოდ ხმაურიანი იყო, მაგრამ ეს უკვე სპორტის სასახლეში შექმნილმა მშვენიერმა სპორტულმა ატმოსფერომ გამოიწვია – ქართული სპორტის ქომაგებმა, ხელბურთის ფანკლუბმა, საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივმა ნაკრებებმა, ირლანდიელ ქომაგთა ხმაურიანმა ჯგუფმა და მატჩის წამყვანებმა.

საქართველოს ნაკრებმა კი, უკვე 3 თამაში მოიგო, მაგრამ ნახევარფინალი ჯერ არ გაუნაღდებია და წინაც უფრო ძლიერი მეტოქეები ჰყავს – აშშ და ბულგარეთი. ჩვენი მომდევნო მეტოქე, აშშ ნაკრები ხელწამოსაკრავი გუნდი ნამდვილად არაა, მით უფრო, რომ მესამე ტურში ამერიკელებმა 3 მოთამაშე დაიმატეს. პირველი ორი შეხვედრა მათ 11 კაცით ითამაშეს, ამჯერად კი შემადგენლობაში ჰყავდათ თბილისში მოგვიანებით ჩამოფრენილი, გერმანიის მეორე ბუნდესლიგის 3 მოთამაშე: ძმები უეტერები და პოლ სკუპურა.

ა ჯგუფში მთავარი ფავორიტი კუბაა, რომელმაც ასევე მე-3 მატჩი მოიგო, ამჯერად კოლუმბიასთან – 31:24. კუბელებს დარჩენილი 2 შეხვედრა აზერბაიჯანთან და ინდოეთთან აქვთ. 4-4 ქულით არიან ბრიტანეთი და ჩინეთი და მომდევნო ტურში ერთმანეთს ხვდებიან. შესაძლოა, ეს გადამწყვეტი მატჩი იყოს ნახევარფინალში გასავლელად. ჩინეთმა მე-3 ტურში ინდოეთი დაამარცხა – 40:29, ხოლო ბრიტანეთმა მძიმე ბრძოლაში მოუგო აზერბაიჯანს – 36:35.

საქართველო დანიაში შერცხვა

დანია-საქართველო 5:1

კოპენჰაგენი. თელია პარკენი

1:0 დოლბერგი (14) 1:1 ლობჟანიძე (25) 2:1 ერიქსენი (30პ) 3:1 დოლბერგი (63) 4:1 პოულსენი (73) 5:1 ბრაითვაითი (90)

დანია: შმაიხელი, კიაერი (იორგენსენი 36), კრისტენსენი, ლარსენი, ჰოიბერგი, ერიქსენი, დელენი, სკოვი (ვასი 62), პოულსენი (ბრაითვაითი 75), დოლბერგი

საქართველო: ლორია, კაკაბაძე, კაშია, გრიგალავა, ნავალოვსკი (დვალი 79), კანკავა, კვეკვესკირი, პარუნაშვილი (პაპუნაშვილი 58), გვილია, კიტეიშვილი (ლობჟანიძე 73), ლობჟანიძე

საქართველოს ნაკრები 2020 წლის ევროპის ჩემპიონატზე შესარჩევი ეტაპიდან რომ ვერ გავიდოდა, საწყისი 3 ტურის შემდეგაც ნათელი იყო. დანიაში გამართული მატჩის უმთავრესი ამოცანა, წესით, უახლოესი რეზერვის ნახვა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვლადიმირ ვაისმა, როგორც ჩანს, შედეგზე თამაში არჩია და ვერაფერიც ვერ მოიგო.

საინტერესო იყო დანიელებთან ლაშა პარუნაშვილის, საბა ლობჟანიძისა და ოთარ კიტეიშვილის ხილვა. ვერ ვიტყვით, რომ სამივე მათგანმა გაამართლა, მაგრამ აუცილებლად სანახავი იყო. ასევე ველოდით ლაშა დვალისა და ლევან ხარაბაძის თამაშს, ისევე, როგორც გიორგი ხარაიშვილის, თუმცა, ამაოდ.

ვაისმა შემადგენლობაში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი დააყენა, რომელთაც ნაკრებიდან წასასვლელი კარი უკვე ღია აქვთ. აშკარად სჯობდა ახალგაზრდებს მისცემოდათ საშუალება. სლოვაკმა სპეციალისტმა არწაგებაზე ითამაშა და 4 მცველის (კაკაბაძე-კაშია-გრიგალავა-ნავალოვსკი) წინ 4 საყრდენი (კანკავა-პარუნაშვილი-კვეკვესკირი-გვილია) დააყენა, ხოლო ფლანგები ლობჟანიძესა და კიტეიშვილს დაუთმო. ფაქტობრივად, ვაისმა თავდამსხმელის გარეშე ითამაშა.

ასეთი დაცვითი შემადგენლობიდან გამომდინარე, საქართველოს ნაკრებს ბურთის დაჭერა და საკუთარი ნახევრიდან ამოტანა ძალიან უჭირდა. მით უფრო, დანიელები ჩინებულ პრესინგს მიმართავდნენ. პირველ ტაიმში ქართველები კონტრშეტევაზე მხოლოდ ერთხელ გაიქცნენ და გოლიც გაიტანეს. კიტეიშვილი-გვილია-ლობჟანიძის კომბინაცია კარგი სანახავი იყო და საბამაც ნაკრებში სადებიუტო გოლი მიითვალა. ამ დროს ანგარიში 1:1 გახდა და იმედიც ჩაისახა, მაგრამ... იმედი ანგარიშის გამო ჩაისახა, ხოლო მატჩის მიმდინარეობა სულ სხვას გვიქადდა. დანია ხელმეორედ მალევე გავიდა წინ, ამაში მსაჯიც წაეხმარა, რადგან ძალიან საკამათო პენალტი სკანდინავიელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. ერთია, დღეს ეს პენალტი სალაპარაკო გახდა – მსაჯმა დაგვჩაგრა, თორემ... არადა, დანიელები ისე იყვნენ დამშეული მოგებაზე, რომ იმ თერთმეტმეტრიანის გარეშეც იოლად გავიდოდნენ ფონს.

მივყვეთ მატჩს: დანიელებმა ძალიან აქტიურად დაიწყეს და რამდენიმე რეალური საგოლე მომენტიც შექმნეს. მიუხედავად ასეთი დაცვითი შემადგენლობისა, საქართველოს ნაკრების დაცვის ხაზში დიდი სივრცეები რჩებოდა და დანიელი შემტევები დასარტყმელ პოზიციაზე გასვლას უპრობლემოდ ახერხებდნენ. განსაკუთრებით, დანიელთა სტანდარტული სიტუაციები იყო სახიფათო, რომლებზეც სიმონ კაიერმა გაგვაწამა. კუთხურიდან მოწოდებულ ბურთზე დანიელთა კაპიტანმა ორჯერ მოგვიგო საკუთარ საჯარიმოში საჰაერო ორთაბრძოლა. პირველი ეპიზოდი კასპერ დოლბერგის გოლით დასრულდა, მეორე ეპიზოდში კი, მსაჯს პენალტი დასტყუა.

მეორე ნახევრის სტარტზე საქართველოს ნაკრებს აქტიურობის მცდელობა ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, საინტერესო ვერაფერი შევქმენით. თავად დანიელებმა კი, ძალიან შემოგვიტიეს. საქართველოს ნაკრებმა დაცვაში ასე სუსტად ბოლოს როდის ითამაშა, ძალიან რთული გასახსენებელია. დარჩენილ დროში შექმნილი უამრავი მომენტიდან დანიელებმა სამი გაიტანეს, რომლებიც დოლბერგის, პოულსენის და ბრაითვაითის ანგარიშზეა.

საბოლოოდ, 5:1 დანიის სასარგებლოდ და საქართველოს ნაკრები დანიაში დიდი ანგარიშით დამარცხდა.

ვლადიმირ ვაისი:

– უკეთესმა გუნდმა მოიგო. პირველ ტაიმში ანგარიშის გათანაბრებამ, გარკვეული თავდაჯერება შეგვმატა, ცუდად არ ვთამაშობდით, მაგრამ შემდეგ იყო 2 გოლი, რომლებიც არ უნდა გაგვეშვა, რადგან ვფიქრობ, რომ პენალტი არ იყო და მესამე გოლის ეპიზოდში დანიელებმა ჩვენი მეკარის წინააღმდეგ თამაშის წესი დაარღვიეს. ამ ყველაფრის მიუხედავად, დანიამ მოგება დაიმსახურა, რად-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ბითაძეს ატლანტას უწინასწარმეტყველებენ, თუმცა შარლოტსაც უნდა

20 ივნისს ბრუკლინში ნბა-ს 2019 წლის დრაფტი გაიმართება. ცხადია, ჩვენი ინტერესი ქართველ ცენტრ გოგა ბითაძის მიმართ იქნება.

ამერიკული მედია ბევრს წერს მომავალი დრაფტის შესახებ, ჟურნალისტები ვარაუდებს გამოთქვამენ. 19 წლის ბითაძეც ხშირად არის მედიის ყურადღების ცენტრში.

ექსპერტების აზრით, დიდი შანსია, რომ გოგა პირველივე წრეში აიყვანონ. არის შანსი, რომ ეს სულაც „ლატარეის ზონაში“ (პირველი 15) მოხდეს.

ბოლო დღეებში ბითაძის ამყვანი კლუბი გამოიკვეთა – ეს ჯორჯიული ატლანტა ჰოუკსია.

ატლანტას დრაფტის პირველ წრეში მე-8 და მე-10 არჩევის უფლება აქვს. ბევრის აზრით, ეს ცოტა ადრეა ბითაძის აყვანისთვის. თუმცა, არსებობს ერთი ვარიანტიც – ეს ბრუკლინსა და ატლანტას შორის შეთანხმებაა. ბრუკლინი თმობს ალენ კრეიბსა და წლევანდელი დრაფტის მე-17 ნომერს და სამაგიეროდ, ტოურინ პრინსსა და 2021 წლის დრაფტის მეორე წრის უფლებას იღებს. აქედან გამომდინარე, ტოპ-20-ში ატლანტას 3 არჩევანის უფლება ექნება: 8, 10 და 17. სწორედ მე-17 არჩევანი უნდა გამოიყენოს ატლანტამ ბითაძისთვის.

თუმცა, ჯორჯიელებს კონკურენტი გამოუჩნდათ. ეს შარლოტ ჰორნეთსია, რომლის სკაუტი ენდრიუ ვოტერსი გოგა ბითაძის შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს.

გასულ წელს ვოტერსი ამბობდა, რომ შარლოტს დრაფტის მეორე რაუნდში გოგა ბითაძის აყვანაზე უნდა ეფიქრა. იმ დროისთვის 18 წლის გოგას ბევრი არავინ იცნობდა. ვოტერსის აზრით, მას შემდეგ ბითაძემ პროგრესი განაგრძო და შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და მზადაა პირველ რაუნდშიც აიყვანოს რომელიმე კლუბმა და ეს შარლოტი უნდა იყოს.

ენდრიუ ვოტერსი:

– ბითაძის ძლიერი მხარე შეტევაში „პიკ-ენ-როლის“ თამაში და დაცვაში გაკეთებული ბლოკშოტებია. ქართველი ძალიან კარგად აყენებს სქრინს და არც შემობრუნება და ბურთს მიღება უჭირს, შემდეგ კი ის შეუჩერებელია. შარლოტის მწვრთნელმა ჯეიმს ბორეგომ სწორედ ისეთი შეტევის სისტემა დანერგა გუნდში, რომელშიც ბითაძემ თავი კომფორტულად უნდა იგრძნოს. მას საკმაოდ მაღალი სათამაშო აიქიუ აქვს და სხვა 19 წლის ბიჭებთან შედარებით უფრო დიდი გამოცდილება უმაგრებს ზურგს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბითაძემ ევროლიგაზე ლუკა დონჩიჩის რეკორდი დაამხო. საქმე ეხება ახალგაზრდა კალათბურთელების ეფექტიანობის მაჩვენებელს და ეს საკმაოდ კარგად აჩვენებს, თუ როგორი ეფექტური იყო გოგა ევროპის საუკეთესო ტურნირზე.

დაცვაში ბითაძეს ახლოს მყოფი ოპონენტის დაჩაგვრა შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ სწრაფი მოთამაშე არაა, ის კარგად არჩევს პოზიციას და პოულობს საკუთარ შანსს.

სუსტი მხარეებიდან აღსანიშნავია ნაკლები ათლეტურობა და პასებთან დაკავშირებული პრობლემები.

ათლეტურობის არასათანადო მონაცემების გამო მას ძალიან გაუჭირდება ფიზიკურად ძლიერ მცველებთან გამკლავება. პრობლემები შეექმნება დაცვაშიც, რადგან სისწრაფის ნაკლებობის გათვალისწინებით, პერიმეტრის გადაკეტვა ადვილი არ იქნება.

ასევე, პასის საკითხიც მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ბიჭებისაგან პასის მაღალი დონის უნარ-ჩვევებს არ ელოდებიან, ზოგიერთ კლუბს სჭირდება მსგავსი პოზიციის კალათბურთელისგან ბურთის სწორი და ეფექტური განაწილება. გოგას კი საუკეთესო მაჩვენებელი სერბეთის ლიგაში ჰქონდა – საშუალოდ 2,2 შედეგიანი გადაცემა მატჩში, მაგრამ ეს მაღალი მონაცემები არაა.

ვოტერსის აზრით, ბითაძის სტილის მოთამაშე ნბა-ში სწორედ შარლოტის ცენტრი ვილი ერნანგომესია. თუმცა, ბითაძე გაცილებით უფრო კარგი მომხსნელია, ვიდრე ესპანელი.

და მაინც, ვოტერსი თვლის, რომ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ცენტრის პოზიციაზე პრობლემების მოსაგვარებლად შარლოტმა ოკეანის გაღმა უნდა გაიხედოს. იქ კი 19 წლის პროფესიონალი გოგა ბითაძეა!

სევილია ევროპალიგის ფინალის მასპინძლობას რეიესის პატივსაცემად ითხოვს



2021 წლის ევროპის ლიგის ფინალის მასპინძლობისთვის 2 კანდიდატია – ესპანური ქალაქ სევილიის „სანჩეს პიასხუანი“ და ჩვენი „დინამო არენა“. თუმცა, დიდი შანსია, რომ ფინალს სწორედ ესპანურმა ქალაქმა უმასპინძლოს. ამის მიზეზი კი ის ტრაგედიაა, რომელიც პირველ ივნისს მოხდა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, სევილიას ყოფილი ფეხბურთელი ხოსე ანტონიო რეიესი დაიღუპა. ავტომობილი, რომელსაც 35 წლის ფეხბურთელი მართავდა, გზიდან გადავარდა და დაიწვა. რეიესთან ერთად მისი 23 წლის ბიძაშვილი დაიღუპა, კიდევ ერთმა მგზავრმა კი ძლიერი დამწვრობა მიიღო.

აქედან გამომდინარე, საფეხბურთო კლუბმა სევილიამ და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ უეფას თხოვნით მიმართეს, რათა 2021 წლის ევროპალიგის ფინალს, ახლახან გარდაცვლილი ფეხბურთელის, ხოსე ანტონიო რეიესის ხსოვნის პატივსაცემად უმასპინძლონ. ამის თაობაზე კლუბისა და ფედერაციის პრესსამსახურები განცხადებებს ერთობლივად აქვეყნებენ. უეფასადმი მიმართვაში კი აღნიშნულია, რომ კლუბმა მრავალჯერ იზეიმა ევროპალიგაში წარმატება, მისი საშინაო არენა „რამონ სანჩეს პისხუანი“ კი რეიესის მშობლიური სტადიონია.

უეფას მასპინძლის ვინაობა ჯერ კიდევ 29 მაისს უნდა დაესახელებინა, თუმცა ვადამ შემოდგომისთვის გადაიწია და გადაწყვეტილებას სექტემბერში გამოაცხადებს. სავარაუდოდ, სევილიას...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ახალგაზრდა ძალოსნებმა ფიჯიდან 4 მედალი ჩამოიტანეს

ფიჯიში გაიმართა ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის, სადაც ჩვენმა ნაკრებმაც მიიღო მონაწილეობა.

ფიჯიში საქართველოს ნაკრები 4 სპორტსმენით იყო წარდგენილი, საიდანაც 2-მა 4 მედლის მოპოვება შეძლო.

ქართულ დელეგაციას პირველი მედალი არჩილ მალაყმაძემ მოუტანა, ძალოსანმა ატაცის ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო. ამის შემდეგ კი ფიჯიზე საქართველოს ჰიმნიც აჟღერდა. ირაკლი ჩხეიძე 2 ოქროსა და 1 ვერცხლის მედლით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა და მსოფლიო ჩემპიონობა იზეიმა.

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მალხაზ ლომთაძეა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საქართველო დანიაში შერცხვა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

გან ბევრად უკეთესად ითამაშა და სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ მათ მსაჯების დახმარება არ სჭირდებოდათ. დანიის წინააღმდეგ იმ შემადგენლობით ვითამაშეთ, რომელიც ფიზიკურად უკეთესად იყო მომზადებული. რა თქმა უნდა, შედეგზე პასუხისმგებლობას ვიღებ, თუმცა დღევანდელ წარუმატებლობას ბევრი გამომწვევი მიზეზი აქვს...

ხარაბაძე ახალგაზრდა ფეხბურთელია და გამოცდილ ნავალოვსკიზე შევაჩერე არჩევანი. რაც შეეხება ხარაიშვილს, ლობჟანიძე დავაყენე ძირითადში, რომელმაც გოლი გაიტანა. პირველ რიგში, ფიზიკური მომზადებაა აუცილებელი, რადგან თანამედროვე ფეხბურთს ათლეტები თამაშობენ...

როგორ შეიძლება მწვრთნელი იყოს კმაყოფილი, როდესაც ასეთი ანგარიშით წააგებ. სადღეისოდ, საქართველოს ნაკრები არ არის მზად, რომ დანიასთან ტოლსწორად ითამაშოს. ჩემს ადგილზე ამას იტყოდა მოურინიო, ტრაპატონი და ნებისმიერი მწვრთნელი. ჩვენ ყველას წინ გვაქვს უმნიშვნელოვანესი თამაში ბელარუსთან, მაგრამ ამ ეტაპზე გვიჭირს თანაბრად თამაში დანიის დონის გუნდებთან. მათი და ჩვენი თამაშის ხარისხი ისე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა.

აგე ჰარეიდე:

– ზუსტად იმ სტილში ვითამაშეთ, როგორც ირლანდიასთან, თუმცა მეტი შანსი შევქმენით. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ 5 გოლი გავიტანეთ, საერთაშორისო ფეხბურთში ეს ძნელია. საქართველოს ნაკრები ასეთი ცუდიც არ იყო, უბრალოდ, ჩვენ ვითამაშეთ კარგად. კიდევ მეტი გოლის გატანა შეგვეძლო, მაგრამ ამითაც ბედნიერები ვართ. მთავარი ბრძოლა ირლანდიასთან და შვეიცარიასთან გვექნება. ორივე გუნდმა სძლია საქართველოსა და გიბრალტარს. პენალტის მომენტი? მე სათადარიგოთა სკამთან ვიყავი, ამ პოზიციიდან კი არაფერი ჩანდა. მსაჯი უკეთეს პოზიციაზე იყო. თუმცა, ამის გარდა, კიდევ 4 გოლი გავიტანეთ.

ჩვენივე ჯგუფში, დუბლინის „ავივა სტედიუმზე“ ირლანდიამ გიბრალტარს უმასპინძლა და მეტოქეს 2:0 მოუგო, რითიც 10 ქულა დააგროვა და ჯგუფში კვლავ პირველ ადგილზეა.

სატუჩნიო ცხრილი:

1.ირლანდია	4	3	1	0	5:1	10
2.დანია	3	1	2	0	9:5	5
3.შვეიცარია	2	1	1	0	5:3	4
4.საქართველო	4	1	0	3	4:8	3
5.გიბრალტარი	3	0	0	3	0:6	0

ასეულობით შიშველმა ქალმა კიბოსთან ბრძოლის ფარგლებში ზღვაში იბანავა

ირლანდიაში 1,8 ათასამდე შიშველმა ქალმა კიბოსთან ბრძოლის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო გაცურვაში. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

საქველმოქმედო აქციას შეუერთდნენ როგორც ის ადამიანები, რომლებმაც სასიკვდილო დაავადების დამარცხება შეძლეს, არამედ ისინიც, რომლებიც ჯერ კიდევ ებრძვიან ავთვისებიან სიმსივნეს. მათ მხარდასაჭერად სანაპიროზე შეგროვდნენ მათი მრავალრიცხოვანი ნათესავები და მეგობრები. აქციის მონაწილეთა შემოწირულობის წყალობით, მისმა ორგანიზატორებმა 700 ათასზე მეტი ევროს შეგროვება მოახერხეს კიბოთი დაავადებული ბავშვების სამკურნალოდ.

ადგილობრივი მკვიდრი ჯეკი კავანა ექიმებს გამოეპარა, რათა აღნიშნულ აქციაში მიეღო მონაწილეობა.

– საავადმყოფოში გუშინ დამაწვინეს. მომავალი კვირისთვის დანიშნული ოპერაციისთვის ვემზადები. კიბო ჩემს მეგობარსაც დაუდგინეს. ჩვენ ყველანი აქ იმისთვის ვართ, რომ ყველას გავაგებინოთ ამ საშინელი დაავადების შესახებ და ყველას ვაჩვენოთ, თუ როგორი განსხვავებული შეიძლება იყოს ის, – განაცხადა კიბოთი დაავადებულმა ირლანდიელმა ქალბატონმა.

მაიმუნმა გოგონას გაშიშვლება სცადა

ინდონეზიაში კუნძულ ბალიზე მაიმუნმა, რომელიც ტურისტს მუხლებზე ეჯდა, იმისთვის, რომ გოგონას მასთან სურათის გადაღება სურდა, კაბის ზედა ნაწილში თათი ჩაავლო და ჩაუწია. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

21 წლის სარა ვიჟონი კუნძულზე ახალი ზელანდიიდან დაბადების დღის აღსანიშნავად ჩავიდა. ოჯახთან ერთად გოგონა მაიმუნების წმინდა ტყის ნაკრძალში წავიდა და იქ მის ერთ-ერთ ბინადართან სურათის გადაღება გადაწყვიტა.

ვიჟონმა ადგილობრივი გრძელკუდა მაკაკა მუხლებზე დაისვა. ცხოველი კი ვერ ისვენებდა, ერთ ადგილზე გაჩერება უჭირდა. თავიდან მაიმუნი თათს იქექავდა, შემდეგ კი მოულოდნელად გოგონას კაბაში ჩააფრინდა, ჩაუწია და ბიუსჰალტერი გამოუჩინა.

გოგონა და მისი ოჯახის წევრები მაკაკას საქციელმა გაამხიარულა.

კიმ კარდაშიანმა თავისი უმცროსი შვილის სურათი გამოაქვეყნა

რეალითი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილე კიმ კარდაშიან-უესტმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე პირველად გამოაქვეყნა თავისი ახლად დაბადებული შვილის პსალმას ფოტოსურათი.

ჩვილი, რომელიც სულ ერთი თვისაა, მსხვილი ხედითაა გადაღებული ძილის დროს და თეთრი ფერის სამოსშია გამოწყობილი.

შეგახსენებთ, რომ პსალმა უესტი სუროგატმა დედამ 9 მაისს გააჩინა. ის მეოთხე ბავშვია კარდაშიან-უესტების ოჯახში, სადაც უკვე იზრდებიან ხუთი წლის ნორტი, სამი წლის სეინტი და ერთი წლის ჩიკაგო.

მეხის დაცემამ მოტოციკლისტი შეიწირა



ამერიკის ფლორიდის შტატში მეხის დაცემის შედეგად დაიღუპა მამაკაცი, რომელიც შოსეზე მოტოციკლით მგზავრობდა.

45 წლის მოტოციკლისტი ფლორიდაში ჩრდილოეთ კაროლინადან იყო ჩასული. თვითმხილველის თქმით, მეხი მამაკაცს მოტოციკლისტის ჩაფხუტზე დაეცა. ამან ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია და ის დაიღუპა.

მეხის დაცემის შემდეგ ჩაფხუტზე დამწვრობები აღინიშნება. ასევე ადგილობრივი საგზაო პოლიციის მიერ გამოქვეყნებული ფოტოსურათის მიხედვით, ჩაფხუტს რამდენიმე ადგილზე დაზიანებებიც ეტყობა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

12 ივნისისთვის

ვერძი – თავს კომფორტულად და გაწონასწორებულად გრძნობთ. ფულის უანგარიშო ხარჯვას ერიდეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, არ გადაიღალოთ. **კურო** – თქვენი ენამახვილობა და სილაღე გადამდებია. გარშემომყოფებს ხალისსა და ბედნიერებას ანიჭებთ. ახალი საქმის დაწყება გამართლებულია. **ტყუპები** – საზოგადოების სული და გული ხართ. ირგვლივ მყოფებს ახარებთ და სტიმულს აძლევთ. შემოთავაზებულ წინადადებას დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით. **კირჩხიბი** – შესაძლოა, ახალ სამსახურში გადასვლა დააპიროთ. სიტუაცია კარგად გააანალიზეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. პირად ცხოვრებაში ცვლილებები შეინიშნება. ზედმეტი ხელგაშლილობა მიუღებელია. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში ჯანმრთელობას მიხედეთ. მთავარი სწორი კვებაა. კარგი იქნება, თუ მხოლოდ პირადი საქმეებით დაკავდებით. **სასწორი** – ინტიმური შეხვედრები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს მაქსიმალური თავშეკავება და ტაქტი მოგეთხოვებათ. **ღრიანკალი** – თამამად გარისკეთ. იღბალი თქვენ მხარეს არის. საკმაოდ სარფიან შემოთავაზებას მიიღებთ. **მშვილდოსანი** – მარსის მფარველობის მეოხებით თქვენი ენერგეტიკული და სექსუალური პოტენციალი იზრდება. ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – ნებისმიერი საქმის შესრულებისას ყურადღებით იყავით. ნუ იჯიუტებთ. აქტიურობას ერიდეთ. **მერწყული** – რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. კოლეგებთან ურთიერთობისას მეტი ტაქტი და ლოიალობა გამოიჩინეთ. პლანეტები გმფარველობენ. **თევზები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ილუზიებისგან გათავისუფლდით. კარგი იქნება სუფთა ჰაერზე გასეირნება და დასვენება კომფორტულ, მყუდრო გარემოში.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 2. ღვინის, ვაზის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 3. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 5. ციხე-სიმაგრე მესხეთში; 6. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 9. ავადმყოფური შიში, გამოწვეული საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვებით; 10. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 11. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. ელექტრონული წინაღობის საზომი ერთეული; 16. მუსლიმთა ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 18. მეტყველების ნაწილი გრამატიკაში.

თარაზულად: 1. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 4. მთიდან მოვარდნილი ნიაღვარი; 7. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 8. ქართული ხალხური ცეკვა; 12. ბრმად, დაუსაბუთებლად მიღებული დებულება; 13. მზის, ცეცხლის, ომის ღვთაება ფინიკიელთა მითოლოგიაში; 15. ცნობილი იტალიელი ფეხბურთის მსაჯი; 17. სახოტბო ლექსი; 19. პოლიციის ქვედანაყოფი საფრანგეთში; 20. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 21. სწორკუთხა სამკუთხედის ერთერთი გვერდი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პეტრა; 2. ასაჰი; 3. ზოსტერა; 4. ლალი; 5. საბა; 6. სკიპტრა; 9. ცხენისწყალი; 10. ფრიკადელი; 11. დობერმანი; 14. ხომლი; 16. შპიგი; 18. ფეიქარი; 20. აღდგომა; 23. ევრო; 24. ოდიში; 25. უნაბი; 26. წოტი..

თარაზულად: 7. კონსტანტა; 8. ნახალოვკა; 16. ტევრი; 13. ბოლტი; 15. ხუნდი; 17. მაუესტიკი; 19. ჯაყვა; 21. ვისლა; 22. ანოდი; 27. პროპორცია; 28. პანტომიმა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გემა; 2. გურია; 3. ვაისი; 5. იბერია; 6. ლემბერგი; 9. ენტომოლოგი; 10. იონოსფერო; 11. კუბერტენი; 14. უშუ; 16. აქციზი; 18. ლიდა.

თარაზულად: 1. გორგია; 4. შვიდეული; 7. ტრამპი; 8. სუპორტი; 12. სტუკო; 13. გურონი; 15. ბოლერო; 17. ალი; 19. გვერდწითელი; 20. დინგო; 21. ხაიამი.

მერაბ ბერძენიშვილი 90 წლის გახდებოდა



მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი მერაბ ბერძენიშვილი 90 წლის გახდებოდა. ხელოვანი, რომელმაც მომავალ თაობებს არაერთი ძვირფასი ნამუშევარი დაუტოვა, 3 წლის წინ გარდაიცვალა.

მერაბ ბერძენიშვილი ძირითადად მუშაობდა მონუმენტური ქანდაკების დარგში. მისი შექმნილია რუსთაველის, ვახტანგ გორგასლის, დავით გურამიშვილის, გიორგი სააკაძის, მედეას, მუზას, კოტე მარჯანიშვილის ქანდაკებები და პორტრეტები.

ხელოვანი არც გრაფიკასა და ფერწერაზე ამბობდა უარს, აფორმებდა წიგნებს, ქმნიდა დაზგურ პორტრეტებს, თეატრალურ აფიშებსა და პლაკატებს. დიდგორის სკულპტურულ-არქიტექტურული მემორიალის შექმნისათვის მას არქიტექტორ თამაზ გაბუნიასთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

მერაბ ბერძენიშვილის არქივის მოწესრიგებისას მისმა მეუღლე კირა მიქელაძემ შემთხვევით აღმოაჩინა ხელოვანის მიერ დაწერილი ლექსი, რომელიც ქუთაისში „გმირთა დიდების მემორიალის“ აფეთქებას ეძღვნება და 2009 წლის 19 დეკემბრით თარიღდება.

ინფორმაცია ამის შესახებ მიშა იოსელიანმა გაავრცელა:

– ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის ქვრივი, უმშვენიერესი ქალბატონი კირა მიქელაძე მერაბის არქივის მოწესრიგებისას შემთხვევით წააწყდა მერაბის მიერ დაწერილ ლექსს იმ საშინელებისა გამო, როცა ავადსახსენებელი საакაშვილის ბრძანებით ქუთაისში ბარბაროსულად დაანგრიეს ქართველი ხელოვანის ერთ-ერთი უძვირფასესი ნამუშევარი „გმირთა დიდების მემორიალი“. მერაბი საერთოდ ლექსებს არ წერდა, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი ხელოვანის საშინლად შეურაცხყოფილმა გულმა ამ შემთხვევაში პოეზიით გამოხატა თავისი მძიმე სათქმელი.

იმედია, დღეს თუ არა ხვალ მაინც კვლავ აღდგება დიდი ხელოვანის მიერ ჩვენი ხალხის გმირობის სადიდებლად შექმნილი ხელოვნების უკვდავი ნიმუში, ხოლო ეს გულიდან რისხვად ამოხეთქილი პოეტური სტრიქონები მარად დარჩება, როგორც მავნე, ანტიქართველ ნაციონალთა ბოროტებისთვის გამოტანილი უმკაცრესი განაჩენი.

მრგვალ ბაღში მდებარე პატარა პრინცის ქანდაკების პრობლემა მოგვარებულია

მოქანდაკე ირაკლი ჟვანიას ინფორმაციით, მრგვალ ბაღში მდებარე პატარა პრინცის ქანდაკების პრობლემა მოგვარებულია.

როგორც ხელოვანი აცხადებდა, უკვე სამი წელია, გავერანებულია პატარა პრინცის ქანდაკება და იგი ჩვეულებრივი ვანდალიზმის მსხვერპლია. დედაქალაქის მერიამ მას გავერანებული ნამუშევრის აღდგენა შესთავაზა, თუმცა თანხა ისეთი მცირე იყო, რომ მოქანდაკემ გადაწყვიტა, რიგითი ქალაქელების დახმარებით საჭირო თანხა შეეგროვებინა:

– სამი დღის წინ ვწერდი, რომ მერიამ, როგორც იქნა, კეთილი ინება და ქანდაკების აღდგენა გადაწყვიტა. ამას მოჰყვა მათი მხრიდან, მოდით, რბილად ვიტყვი, უცნაური წინადადება, ანუ ის თანხა, რომელსაც თურმე გაიმეტებენ, უნდა ეყოს ამ სამუშაოს.

აქ არ დავწერ, რამდენია, უბრალოდ, მოგიყვებით, რომ ეს დაახლოებით იგივე რაოდენობაა, დიასახლისს რომ უთხრა, 20-კაციანი სუფრა 200 ლარად გაშალეო. სირცხვილია, რასაც ესენი აკეთებენ...

კარგი, ამათზე აღარ ვბრაზდები, ძალიან ცოდვა არიან თვითონაც, რას მიედ-მოედებიან, არ იციან და იხრჩობიან საკუთარი ბიუროკრატიის ბოლში...

აქვე ერთი აზრი გამიჩნდა – იქნებ ჩვენი, საზოგადოების თანხით აღვადგინოთ პატარა პრინცი, არ გამოვართვათ ამათ საერთოდ ფული? ვცადოთ, იქნებ შევძლოთ? ძალიან მაგარი იქნება...

ვისაც რამდენი შეუძლია ვიზათი, გადმორიცხვისას ყველას სახელი ჩანს ტრანზაქციაში და საჯაროდ დიდ მადლობას გადაგიხდით! მოდით, რა, ერთად ვაჩვენოთ ამ სახელმწიფო აპარატს, რომ ჩვენ ვართ.

ამ განცხადების გაკეთებიდან რამდენიმე დღეში ირაკლი ჟვანიას მერიიდან დაუკავშირდნენ და ყველა პრობლემა მოაგვარეს:

– მრგვალ ბაღთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციაზე პოსტს კახი იმავე დღეს გამოეხმაურა და ოპერატიულად მოაგვარა ყველა პრობლემა. მეორე დღესვე მისი დავალებით შედგა შეხვედრა მერიაში, რომელსაც ესწრებოდა მისი ოთხივე მოადგილე. მრგვალი ბაღის საკითხი გადაჭრილია და ქანდაკების აღდგენის სამუშაოებს მერია დააფინანსებს. ასევე დეტალურად გავიარეთ ბაღის საფარის მოწყობის დეტალები, მომავალში ქალაქის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისა და ქანდაკებების უფრო ხარისხიანად მოვლა-პატრონობის აუცილებლობა და მერია მზადაა, ვიფიქროთ ამ მიმართულებით. დიდი მადლობა ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ქანდაკების აღდგენაში. პროექტის დახმარება საჭირო აღარაა, ყველა სამუშაო ჩატარდება ჩვენ მიერ ერთობლივად, ხარისხიანად და სწრაფად. პრობლემები არსებობს, მაგრამ მათი მოგვარებაც შეიძლება, თუ ხელისუფლება და საზოგადოება ასე ერთად ვიქნებით. ეს ქალაქი ყველასია და ყველამ უნდა აქტიურად ვეცადოთ, რაღაც მაინც ვაკეთოთ საერთო საქმისთვის.

გიორგი ონიანი პოლიტიკოსებს აკრიტიკებს

ოპერის მომღერალი გიორგი ონიანი პოლიტიკოსებს აკრიტიკებს და მათი ერთი პარტიიდან მეორეში გადასვლით გაღიზიანებულია:

– ახალ პარტიას რომ ქმნით და თავმომწონედ აცხადებთ, რომ შეიკრიბეთ მთავრობაზე გაბრაზებული „პოლიტიკოსები“ და მთავარი მიზანია ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გამარჯვება, თავიდანვე განწირულები ხართ, იქცეთ ჩვეულებრივ, უფუნქციო, დამარცხებისთვის განწირულ, ბიუჯეტისჭამია პარტიად.

დავუშვათ, მოიგეთ, რით დაკავდებით, უკვე აცხადებთ. დაერევით ბიძინასა და „ოცნებას“ და გავა წლები თქვენს ჭიდაობაში. ხალხს და ქვეყანას რა? არაფერიც არ შეიცვლება.

პროგრამა წარადგინეთ, ვისაც ახალი პარტია გინდათ შექმნათ, არგუმენტირებული და რეალური პროგრამა, სახელმწიფოს მტკივნეულ პრობლემებზე მორგებული. არ დაიყენოთ გვერდით ათას პარტიაზე გადამხტარი პოლიტიკოსები და მაშინ გენდობათ ხალხი. როცა შურის საძიებლად მოდიხარ, ეგ ზიზღი უბნელებს თვალებს ადამიანს და არაფერს სასიკეთოს ქვეყნისთვის ვერ გააკეთებს.

მესამე ძალას რომ ირქმევთ დიდის ამბით, ეგ ხალხმა უნდა დაგარქვათ და არა თქვენ.

გიო ხუციშვილის გარდაცვალებიდან 1 წელი გავიდა

მომღერალ გიო ხუციშვილის გარდაცვალებიდან 1 წელი გავიდა. ის უახლოესმა მეგობარმა ნატო გელაშვილმა და მომღერალმა ნინი ქარსელაძემ გაიხსენეს:

– ისე შორს გაფრენილხარ, დანახვაც კი ძნელია. სულმა სხეული მიატოვა, წელიწადია უკვე და ცისკენ აფრინდა. ხუცო, ცარიელი ერთი წელიწადია თითქოს ამ ქალაქში, შენ კი ისევ ყველგან გელიან. უფალმა გაანათლოს შენი სული, ჩემო გულიანო მეგობარო.

ნინი ქარსელაძე, მომღერალი:

– 1 წელი უშენოდ. არადა, თითქოს ეს საშინელება გუშინ მოხდა, მაგრამ თურმე ასე მალე გასულა ეს ცრემლითა და ტკივილით სავსე ერთი წელი. ყველგან და ყოველთვის გეძებთ, შენს სიმღერებს ვერც კი ვრთავთ, შენი ხმის გაგონებაზე კი ყველას ერთნაირი რეაქცია გვაქვს. ამ ტკივილსა და სიყვარულს შენი სახელი ჰქვია. ასე იქნება იქამდე, სანამ ჩვენ აქ ვართ, შემდეგ კი თაობებს გადავცემთ შენს სიყვარულს.

მჯერა, რომ ერთ დღეს შევხვდებით, ისევ ვნახავ იმ ღიმილიან, ოპტიმიზმით სავსე სახეს და ისევ იმ ემოციებით მომიყვები, როგორც გჩვეოდა, თუ როგორი იყო უერთმანეთოდ გატარებული წლები.

შექმენი ეპოქა და ამას ყოველთვის შენი სახელი ერქმევა!

ჩემი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტკივილი... მიყვარხარ, გიო!

ჯენიფერ ლოპესმა დემნა გვასალიას კაბა მოირგო

მსოფლიო ვარსკვლავმა ჯენიფერ ლოპესმა ბალენსიაგას ქართველი შემოქმედებითი ხელმძღვანელის დემნა გვასალიას კაბა მოირგო და ერთ-ერთ კონცერტზე ათასობით მსმენელის წინაშე წარდგა.

შავ-თეთრი კუბების ნაჭრისგან შეკერილი მოკლე კაბა დემნამ 2019 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციაში წარმოადგინა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჯენიფერ ლოპესი ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი კაბებით ჩნდება. მომღერალს დევიდ კომას მიერ შექმნილი სამოსიც მოსწონს და მის კაბებშიც ხშირად პოზირებს.

გოგონამ თოჯინა ბარბის დასამსგავსებლად ათეულობით პროცედურა ჩაიტარა



21 წლის ბულგარელმა სტუდენტმა გოგონამ ანდრეა ივანოვამ ერთი წლის განმავლობაში 15-ზე მეტი პროცედურა გაიარა იმისთვის, რომ თოჯინა ბარბის დამსგავსებოდა.

გოგონამ საკუთარი თავის ტრანსფორმაცია გასულ წელს დაიწყო და პროცედურებზე თვეში მინიმუმ ერთხელ მაინც მიდიოდა. ექიმებს მის ტუჩებში ყოველ ჯერზე ჰიალურონის მჟავა შეჰყავდათ, როგორც კი ანდრეა ჩათვლიდა, რომ მათი მოცულობა შემცირდა. ასევე გოგონამ მკერდის გადიდების ოპერაციაც გაიკეთა.

ანდრეას თქმით, ის ბავშვობიდან ოცნებობდა თოჯინა ბარბის დამსგავსებოდა, თუმცა ინტერნეტ-მომხმარებლები ამტკიცებენ, რომ ის უფრო მეტად დაფი დაკს ჰგავს ან ლოჰნესის ურჩხულს.

ექიმები, რომლებიც ასეთ სიმახინჯეს ქმნიან, ციხეში უნდა ისხდნენ, – დაწერა ერთ-ერთმა თავის კომენტარში.

თავად ანდრეა კი საკუთარი არჩევანით კმაყოფილია და მიიჩნევს, რომ ადამიანებს აქვთ იმის უფლება, გამოიყურებოდნენ ისე, როგორც თავად სურთ, თუნდაც მათი გარეგნობა სილამაზის საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებს არ შეესაბამებოდეს.

ვერიკო ტურაშვილმა ახალი კლიპი გადაიღო

მომღერალმა ვერიკო ტურაშვილმა ახალი კლიპი გადაიღო და მის პრეზენტაციაზე უახლოეს ადამიანებთან ერთად კოლეგებიც დაპატიჟა.

„რომ მიყვარხარ“ – ასე ჰქვია სიმღერას, რომლის ვიდეორგოლის პრეზენტაციასაც ცნობილი სახეები ესწრებოდნენ. პროდიუსერებმა, მომღერლებმა და ჟურნალისტებმა ვერიკოს ნამუშევარი დადებითად შეაფასეს და მქუხარე აპლოდისმენტებითაც დააჯილდოვეს.

ვერიკომ თავისი ახალი ნამუშევრის შესაფასებლად ნინო ჩხეიძე, აჩიკო მეფარიძე, ნოდიკო ტატიშვილი, თემო საჯაია, მიშო სულუხია, მარკუს მეტრეველი, გია ნიკოლაძე, თამუნა ამონაშვილი და ბევრი ცნობილი სახე მიიწვია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მომღერალს დათვი ძაღლი ეგონა და სახლში მიიყვანა

მალაიზიელ მომღერალსა და რეალითი-შოუს მონაწილეს ზარიტ სოფია იასინს მალაიზიური დათვის ბელის სახლში უკანონოდ შენახვის ბრალდება წაუყენეს.

ქალი ამტკიცებს, რომ დაახლოებით ორი კვირის წინ საცოდავ მდგომარეობაში მყოფი ცხოველი გზის პირას იპოვა. სიბნელეში მას ის ძაღლი ეგონა და სახლში წაიყვანა. როდესაც მიხვდა, რომ ის ძაღლი კი არა დათვის ბელი იყო, გადაწყვიტა, რომ მისთვის მოევლო, რათა შემდეგ ზოოპარკისთვის გადაეცა. მომღერლის თქმით, რომელმაც ცხოველს ბრუნო დაარქვა, ის მას კარგად კვებავდა და მასზე ზრუნავდა.

მალაიზიაში ადგილობრივი სახეობის დათვების სახლში ყოლა აკრძალულია, ამიტომ მომღერალი დააპატიმრეს. მან უარყო ბრალდება იმის თაობაზე, რომ ის ფარულად იშვიათი სახეობის ცხოველებით ვაჭრობს.

– დღისით კომპანიას ვხელმძღვანელობ, საღამოს ვმღერივარ და საიდან უნდა მქონდეს კიდევ იმის დრო, რომ ცხოველებით ვვაჭრობდე? – განაცხადა მომღერალმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.7347
- ევრო — 3.0946
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4774
- 100 რუსული რუბლი — 4.2244

ამინდის პროგნოზი 12 ივნისისთვის

„ახალი თაობა"

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა"

11 ივნისიდან

ვაჟა-ფშაველა

მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

4 ივნისიდან

მარკ ტვენი

ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

31 მაისიდან

დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

იუმორი

ქალიშვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, რა არის საჭირო იმისთვის, რომ კარგი ფიგურაც შევინარჩუნო და ქმართანაც კარგი ურთიერთობა მქონდეს?

– პირის დროულად გაღება და დახურვა უნდა ისწავლო.

•••

სამსახურის დამწყების მსურველს საწარმოს დირექტორი ეკითხება:

– თქვენი ადრინდელი სამსახურიდან რატომ წამოხვედით?

– დაღლილობის გამო.

– რა დაღლილობის?

– არ ვიცი, მათ მითხრეს, რომ მე ისინი ძალიან დავღალე.

•••

გოგონა დაწესებულების ხელმძღვანელს ეკითხება:

– და სად წავიდა თქვენი თანამშრომელი ქალბატონი?

– დეკრეტულში.

– ჰოო, სახიფათო სამსახური გქონიათ.

•••

ორი ხელმძღვანელი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენს ხელქვეითებს ხელფასს აძლევ?

– არა.

– არც მე და სამსახურში მაინც დადიან?

– კი.

– ჩემებიც. და სამსახურში სიარული ფასიანი ხომ არ გავხადოთ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დემბელემ, შესაძლოა, ბარსელონა დატოვოს

უსმან დემბელემ, შესაძლოა, ბარსელონა დატოვოს, რადგან კატალონიურ გუნდში უკმაყოფილო არიან მისი ქცევებით და იმით, რომ დემბელე ხშირად არ იცავს დისციპლინას.

გარდა ამისა, ახალგაზრდა ფრანგი ფეხბურთელი მუდმივად იღებს ტრავმებს, რის გამოც მან ბევრი მნიშვნელოვანი შეხვედრა გამოტოვა.

ჯერჯერობით ბარსელონას ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დაუდასტურებია, თუმცა, თუ კატალონიელებს დემბელეს თაობაზე სარფიანი წინადადება ექნებათ, ისინი, სავარაუდოდ, უარს არ იტყვიან.

დემბელე ბარსელონის ღირსებას 2017 წლიდან იცავს.

რომას მწვრთნელი პაულო ფონსეკა გახდა

იტალიურ რომას ოფიციალურად ახალი მწვრთნელი ჰყავს და ის პაულო ფონსეკაა, რომელიც 3 წლის განმავლობაში დონეცკის შახტარის თავკაცი იყო.

ფონსეკასთან ერთად შახტარმა სამჯერ მოიგო უკრაინის ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგაშიც ღირსეულად თამაშობდა.

ფონსეკამ რომასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც მისი წლიური ანაზღაურება 3 მილიონი ევრო იქნება.

ფონსეკა რომში უახლოეს დღეებში გაფრინდება და კონტრაქტზე ხელს მოაწერს.

გრიზმანის მომავალი კლუბი ისევ არ არის ცნობილი

ანტუან გრიზმანის მომავალი კლუბი ჯერ კიდევ არ არის ცნობილი და ფრანგმა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მალე ყველას ყველაფერი ეცოდინება.

გრიზმანს არ სურს წინასწარ ბევრი ლაპარაკი:

– ჯერჯერობით რამდენიმე ფაქტია დასაზუსტებელი, ამიტომ წინასწარ საუბარი არ მსურს. გარწმუნებთ, რომ მალე ყველაფერს გაიგებთ და მეც ბევრს ვილაპარაკებ. ჩემი ახალი კლუბი აუცილებლად ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი იქნება.

ხამესმა, შესაძლოა, კარიერა იტალიაში გააგრძელოს

ხამეს როდრიგესი ბაიერნს დატოვებს და, სავარაუდოდ, კარიერას იტალიაში გააგრძელებს. ხამესი რეალს ეკუთვნის, მაგრამ სამეფო გუნდი მის დაბრუნებას არ აპირებს, ამიტომ კოლუმბიელმა ახალ გუნდზე უნდა იფიქროს.

ხამესის შეძენა იუვენტუსსა და ნაპოლის სურთ, თუმცა მათ 65 მილიონის გადახდა არ უნდათ, ამ თანხაზე ნაკლებად კი რეალი ხამესის გაყიდვას არ აპირებს.

ხამეს როდრიგესი რეალში 2014 წელს გადავიდა და თავიდან მან შეძლო ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება, მაგრამ შემდეგ მან ეს ადგილი დაკარგა და საბოლოოდ რეალმა ის ბაიერნში გაანათხოვრა

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯვოსვოოდი ა



შვეულად: 1. ქართული ტელეკომპანია; 2. უდაბნო აფრიკაში; 3. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 4. ჭადრაკის ფიგურა; 5. ძლიერი ცივი ქარი ზღვაზე; 6. ლიხტენშტეინის მთავრთა ტიტული; 9. მონასტერი რაჭაში; 10. სათავგადასავლო ჟანრის კინოს, თრილერის, ბოევიკის მთავარი პერსონაჟი; 11. მეექვსე საუკუნის მონასტერი თბილისში; 14. პურეული მცენარე; 16. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 18. პოლონეთის ძველი დედაქალაქი; 20. იტალიური სადესერტო ღვინო; 23. გემის მზარეული; 24. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 25. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 26. ლუდის დანალექი, გამონახარში.

თარაზულად: 7. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 8. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 12. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 13. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას" პერსონაჟი; 15. მთავარი მოედანი მილანში; 17. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 19. ბედიღბლიანობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ცხოველთა სამყარო; 22. ქიმიური ელემენტი, აირი; 27. კინოკომედია „ქვევრის" რეჟისორი; 28. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ჩან ჩან ვან + მა ინ ტონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ჯიან ჰი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ბეი ფუ დი ჰუანბ ვან + სუნ სუო

აუმჯობესებს პოტენციას

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/